ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№1-2, იანვარ-თებერვალი 2018

ჩვენ ვისწავლეთ ბსუ-ში, ისწავლეთ თქვენც!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელსაც 83-წლიანი ისტორია აქვს.

უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა ამოცანაა ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 9 ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ტექნოლოგიურ და ტურიზმის ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა არაერთი საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.

უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმებისათვის ბსუ ითვლება სასურველ მასპინძლად, გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

ბსუ გელით!

ძვირფასო აბიტურიენტებო!

თქვენ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგახართ. უნდა აირჩიოთ პროფესია, რომელიც თქვენი ცხოვრების განმსაზღვრელი და შესაძლებლობების რეალიზების საფუძველი გახდება.

ქვეყნის წინსვლა, განვითარება და მომავალი განათლებული, წარმატებული, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გთავაზობთ თითქმის საუკუნოვან გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ადაპტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გარწმუნებთ, ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული განათლება თქვენი წარმატებული მომავლის საფუძველი იქნება!

პატივისცემით,
უნივერსიტეტის რექტორი
მერაბ ხალვაში

„იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ნიშნავს იყო საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს შორის განათლებით, მეცნიერებითა და კულტურის მნიშვნელობით გამორჩეული უნივერსიტეტის სტუდენტი.

ყველას აქვს თავისი კრიტერიუმი, თუ რის გამოც ირჩევს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს. ეს არის უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტი ღებულობს ხარისხიან განათლებას, ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, გაქვს დასაქმების მაღალი პოტენციალი, დიდი შანსი საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლის და საერთაშორისო გამოცდილების მიღების. ეს ის უნივერსიტეტია, სადაც დიდი სითბო და ყურადღება ტრიალებს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოთხოვნის თვალსაზრისით, ხუთეულშია.

მე საბუნებისმეტყველო მეცნირებათა და მედიცინის ფაკულტეტის მე-3 კურსის დოქტორანტი გახლავართ. ვმუშაობ ბიომრავალფეროვნების მიმართულებით. დღეს, უკვე როდესაც ვუყურებ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის განვლილ წლებს, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ თავის დროზე სწორი არჩევანი გავაკეთე, როდესაც გადავწყვიტე გავმხდარიყავი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ბსუ თანამშრომლობს უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან და ხორციელდება გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტთა სტაჟირებას, თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამყარებას. ამ მიზნით ჩვენი უნივერსიტეტი დებს ხელშეკრულებებს სხვადსხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და კერძო საწარმოებთან და აფორმებს მემორანდუმებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ეს შანსი. ბევრი უცხოელი სტუდენტია ჩვენს უნივერსიტეტში, რაც სტუდენტებისთვის კარგია უცხო ენის პრაქტიკის თვალსაზრისით, კონტაქტებისთვის და ა.შ.

ამ უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა მომცა ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება. გეძლევა მოტივაცია, რომ განვითარდე. განსაკუთრებით მახსენდება სტიპენდიის დანიშვნა, რამაც კიდევ უფრო გამიმძაფრა კარგად სწავლის სურვილი. დღევანდელ დღეს ყველას აქვს სურვილი იყოს რომელიმე განვითარებული ქვეყნის სტუდენტი, მეც მათ შორის და ეს სურვილი რეალობად მექცა, როდესაც ამ უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა გაცვლითი პროგრამის საშუალებით ერთი სემესტრის განმავლობაში მესწავლა სამაგისტრო პროგრამაზე ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში, სადაც დამხვდა საინტერესო გარემო, მრავალფეროვანი სასწავლო კურსი, მოტივირებული, სწავლაზე ორიენტირებული სტუდენტები. ეს იყო უდიდესი გამოცდილება, რომელმაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად გამიღრმავა უცხო ენაზე აზროვნების და მსჯელობის უნარი, მასწავლა დამოუკიდებლობა, გამოწვევებთან გამკლავება, გადაწყვეტილებების მიღება და დროის სწორად გადანაწილება. გავეცანი უცხო ქვეყნის კულტურას და შევიძინე მეგობრები. დამატებით მომცა საშუალება მემოგზაურა და მენახა რამდენიმე ქვეყანა. საზღვარგარეთ სწავლა მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლება არაა, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა, რადგან წარმოადგენ შენს ქვეყანას და შენს უნივერსიტეტს.

დღეს მე ვმუშაობ საერთაშორისო მასშტაბებით ცნობილ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სადაც ჩემი თეორიული ცოდნა გამყარდა პრაქტიკით. სადოქტორო თემას ვახორციელებ და ვმუშავებ ბოტანიკური ბაღის ბაზაზე, ვაკეთებ საყვარელ საქმეს.

ჩემი და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირი მხოლოდ სტუდენტობით არ შემოიფარგლება. მაქვს ბედნიერება ვიყო ამ გუნდის წევრი, ბიოლოგიის დეპარტამენტში ბიომრავალფეროვნების მიმართულებით მიმყავს პრაქტიკული კურსი სტუ-

დენტებთან, რაც კიდევ უფრო მავითარებს, მახალისებს გამოცდილების გაზიარება და არ მაძლევს მოდუნების საშუალებას.

როცა რაღაც მთელი გულით გსურს და გინდა მიაღწიო, ღმერთი გეხმარება ამის შესრულებაში. ჩემთვის ასეთი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოჩნდა. ამ უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა.

სტუდენტობა ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია ცხოვრებაში. აცნობიერებ, რომ ცხოვრების ახალი, პასუხიმგებლობით სავსე ეტაპი დაიწყო და ხვდები, რომ მომავალი შენზეა დამოკიდებული. ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ადამიანმა, როგორც პროფესიული წინსვლის, ასევე სტუდენტური ცხოვრების თვალსაზრისით, რადგან ეს დრო და შესაძლებლობა არასოდეს გამეორდება. სტუდენტური აქტივობებიდან მახსენდება ჩემი აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, საწარმოო პრაქტიკებსა და საველე გასვლებში საქართველოს მასშტაბით. თუმცა, ჩემი აზრით, მომავალ თაობას მეტად აქტიური საუნივერსიტეტო ცხოვრება ელის“.

ლანა კოდანოვი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტი

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„ვიყო ბსუ-ს სტუდენტი ნიშნავს, წარმატებისკენ სვლას! წარსულის ჩამოტოვებას და ახალი, წარმატებული და მრავალფეროვანი ეტაპის დასაწყისს.

ბსუ-მ მომცა რწმენა, რომ თუ გსურს სწავლა, შესაძლებელია სწორი და ჯანსაღი მიდგომით შენ შეძლო განათლების მიღება. 2017 წლამდე ვერ წარმომედგინა, თუ სწავლას შევძლებდი, თუმცა ბსუ-მ გაუღო კარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ერთ-ერთი პირველი, პოზიტიური მაგალითი ვარ მე. აქ სწავლამ მომცა შესაძლებლობა ახალი უნარები აღმომეჩინა ჩემში, უფრო სიღრმისეულად დამეწყო აზროვნება. აქ გისმენენ და ცდილობენ მოგარგონ გარემო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მე და ჩემი უნივერსიტეტი, სამომავლოდ ვგეგმავთ სხვადასხვა სიახლეს და ერთ-ერთი იქნება ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების თუ სხვა ადამიანების სართულებს შორის გადაადგილებას. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს ჩაერთონ ყველა იმ აქტივობაში და მიიღონ ის სიკეთე, რაც უნივერსიტეტში იგეგმება და ხორციელდება. ასევე, საშუალებას მისცემს სტუდენტს იმ სართულზე ჰქონდეს აუდიტორია, რომელზეც ფაკულტეტის დეპარტამენტია. ერთად, ყველას მონაწილეობით, უნდა შევქმნათ ყველასათვის მისაწვდომი, კომფორტული და სასიამოვნო სივრცე. დიდი იმედი

მაქვს, რომ ამას უახლოეს მომავალში მივაღწევთ და ჩემი სწავლის დასრულების შემდეგ რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტს დავტოვებ უნივერსიტეტში.

გამომდინარე იქედან, რომ ჯერ პირველკურსელი ვარ, ბევრი აქტივობა არ განმიხორციელებია უნივერსიტეტში, მაგრამ გამოვყოფ სტუდენტებთან შეხვედრას ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, რომელიც მთლიანად ეძღვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობას სხვადასხვა გზით. ერთ-ერთი ამ მიზნის მიღწევის ხელშემწყობია საზოგადოების ინფორმირება შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რათა მათ არ ჰქონდეთ გაუცხოების განცდა და გარიყვის სურვილი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სტერეოტიპებისაგან და ცრუ წარმოდგენებისგან გათავისუფლდეს სტუდენტი და მაქსიმალურად ჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდეს შშმ ადამიანთან, რადგან შეზღუდული შესაძლებლობა არის მდგომარეობა და ამ მდგომარეობით არ შეიძლება შევაფასოთ ადამიანის უნარები თუ სხვა შესაძლებლობები. ზუსტად ამ საკითხების განხილვისათვის ჩავატარე შეხვედრა ჯერ ჩემს კურსელებთან და შემდგომ უკვე სხვადასხვა კურსის სტუდენტებთან. ასევე ბიბლიოთეკას გადავეცით რამდენიმე ერთეული საინფორმაციო კრებული (ალმანახი) შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, რომელიც „აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

აქტიური ცხოვრების გამო თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს. სწავლის გარდა ვმუშაობ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“, რომელიც მეგობრებთან ერთად 5 წლის წინ დავაფუძნე. ასევე გახლავართ ტელევიზიაში საავტორო გადაცემის წამყვანი — „შენ შეგიძლია მეტი“. მაქვს დრო იმისთვისაც, რომ ვიკითხო, გავეცნო სიახლეებს, ვუყურო ფსიქოლოგიური ჟანრის ფილმებს და მეგობრებთან ერთად გავატარო საღამო“.

თომა კაკაბაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

„ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ სტუდენტისთვის ყველაზე რთული სწავლების პირველი წელია, რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ მას უნივერსიტეტში ხვდება სრულიად განსხვავებული სიტუაცია და გარკვეული დრო სჭირდება ახალ გარემოსთან შეგუებისათვის. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ის სასწავლო დაწესებულება, სადაც სწავლების პირველივე დღიდან თავს იგრძნობთ თქვენთვის კომფორტულ სივრცეში, გაიცნობთ უამრავ საინტერესო ადამიანს და უნივერსიტეტის მხრიდან სწავლების საუკეთესო გარემოს შექმნით სიამოვნებას მიიღებთ შემეცნების პროცესში.

ვიყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. პირველ რიგში, ის მდებარეობს ჩემს მშობლიურ ქალაქში და ეს ნიშნავს, რომ ჩემი სწავლითა და მიღწევებით არა მარტო უნივერსიტეტს, არამედ მშობლიურ ქალაქსაც ვასახელებ. მოგეხსენებათ, ჩვენს უნივერსიტეტს ბევრი საამაყო კურსდამთავრებული ჰყავს. ეს კიდევ უფრო ზრდის ჩემს მოტივაციას და აუცილებელია უნივერსიტეტისგან არა მარტო ცოდნა მივიღო, არამედ წვლილი შევიტანო მის წარმატებაში.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ ცოდნას აძლევს სტუდენტებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არა მარტო ჩემს სპეციალობასთან დაკავშირებულ ცოდნას ვღებულობ, არამედ ვეუფლები იმ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, რომლებიც დამეხმარება ცხოვრების მანძილზე. აღვნიშნავდი გეოგრაფიის დეპარტამენტის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მუდამ მზად არიან დაეხმარონ სტუდენტს და რაც შეიძლება საინტერესო გახადონ მათთვის სასწავლო პროცესი.

ჩემთვის ახლა სწავლების მეორე წელია და მინდა თამამად ვთქვა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების ნაწილია, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებ. ჩემი და უნივერსიტეტის ურთიერთობა არ მოიცავს მხოლოდ ლექციებსა და სემინარებზე დასწრებას. მე პირველი კურსიდანვე აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა პროექტში, კონფერენციასა და სემინარში. გამოვყოფდი რამდენიმე მათგანს. პირველი იყო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მოხსენება გავაკეთე გეოგრაფიისა და ფილოსოფიის სექციებში. გეოგრაფიაში ჩემი რეფერატული ნაშრომი ეხებოდა ოზონის ხვრელების წარმოშობის მიზეზებსა და მათ გავლენას დედამიწაზე, ხოლო ფილოსოფიაში - კარლ შმიდტსა და ადამიანისა და მსოფლიო ელემენტების დაპირისპირებას. მეორე კურსზე უფრო დიდი აქტიურობით გამოვირჩევი. მონაწილეობა მივიღე „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“-ის ფარგლებში ჩატარებულ და სამხრეთ კავკასიის-შავი ზღვის რეგიონალურ კლიმატურ კონფერენციებში, ხოლო კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ეფექტიანი ცვლილების სესიები“ ჩემი ჯგუფის პროექტმა „ეკო ურნამ გაიმარჯვა“.

მოგეხსენებათ, გქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, ეს სტუდენტისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩემი

შრომის შედეგად ვარ ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული ქვეპროგრამის, კერძოდ, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის მფლობელი, ასევე, საფაკულტეტო, ვლადიმერ ქემხაძის სახელობის სტიპენდიანტი. მომავალშიც გავაგრძელებ გულმოდგინედ სწავლას, რათა შევძლო სხვადასხვა სტიპენდიის მოპოვება და წარმატების მიღწევა.

ადვილად შეამჩნევდით, რომ სტუდენტური ცხოვრება არ არის მარტივი და დიდი ძალისხმევა სჭირდება ახალგაზრდას, რათა ერქვას წარმატებული. ამის მიუხედავად, მაქვს მცირეოდენი თავისუფალი დრო, რომელსაც ჩემს საყვარელ საქმიანობებს ვახმარ. მოგეხსენებათ, მომავალი გეოგრაფი ვარ და გეოგრაფს რა ეყვარება ყველაზე მეტად — თუ არა მოგზაურობა. მართალია, უცხოეთში მოგზაურობა ჯერ კიდევ აუხდენელი ოცნებაა, მაგრამ ჩემი ქვეყანის ძალიან ბევრ კუთხეში ვარ ნამყოფი. თავისუფალ დროს სწორედ მეგობრებთან ერთად მოგზაურობაში ვატარებ და თეორიულად მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში ვიყენებ“.

დავით ბაკურაძე, გეოგრაფიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაძლევთ საშუალებას იყოთ წარმატებული და აქტიური სტუდენტები. მიხარია, რომ ამ ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. ყოველი დღე ჩემთვის გამორჩეული, საინტერესო და პროდუქტიულია. ჩვენი ფაკულტეტი ხშირად მასპინძლობს ცნობილ ადამიანებს, ტარდება საჯარო ლექციები და დისკუსიები სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი, სადაც ეწყობა საინტერესო შეხვედრები, იმართება კინოჩვენებები, განვიხილავთ ფილმებს და ვაანალიზებთ. თქვენ ასევე გექნებათ შანსი, მონაწილეობა მიიღოთ სხვადასხვა კონკურსში, კონფერენციასა და გაცვლით პროგრამაში. ჩვენ გვყავს მეგობრული და ერუდირებული ლექტორები, რომლებიც მუდმივად მზად არიან დახმარების ხელი გამოგვიწოდონ. ისინი დიდი სიხარულით გვიზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას.

ყველას, ვისაც სურს იყოს აქტიური სტუდენტი, ვურჩევ ჩააბაროს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რათა მომავალში გახდეს წარმატებული.

თათია დავითაძე, ქართული ფილოლოგია, მესამე კურსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დიდი პოტენციის მქონე ფაკულტეტია. იგი აერთიანებს ტრადიციულ, წარმატებული ისტორიის მქონე მიმართულებებს: ქართული ფილოლოგია; ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია; უცხოური ენების ფილოლოგია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, სლავური); აღმოსავლეთმცოდნეობა (თურქეთისმცოდნეობა, თურქული ფილოლოგია); ფილოსოფია. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლობს 1250-მდე სტუდენტი. ფაკულტეტს ემსახურება 70-მდე მაღალკვალიფიციური პროფესორი და ათეულობით მოწვეული მასწავლებელი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აერთიანებს ექვს დეპარტამენტს (ფილოსოფიის, ქართული ფილოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის, ევროპეისტიკის, სლავისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტები).

ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ შექმნილია სამეცნიერო ცენტრები (ქართველოლოგიის ცენტრი; თარგმანისა და ინტერკულტურულ ურთიერთობათა ცენტრი; მსოფლიო ისტორიის პრობლემების შესწავლის ცენტრი; დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრი). სხვადასხვა სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიზნით, ფაკულტეტზე შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების ცენტრი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას: 10 პროგრამა ბაკალავრიატში (ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ისტორია, თურქეთისმცოდნეობა, ფილოსოფია, თარგმანმცოდნეობა); 7 პროგრამა მაგისტრატურაში (ლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ევროპეისტიკა, ისტორია, შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია; 4 პროგრამა დოქტორანტურაში (ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბაზაზე შექმნილი ცენტრები და კაბინეტები – ამერიკანისტიკის ცენტრი, თურქოლოგიის ცენტრი, ანგლისტიკის, რომანისტიკისა და გერმანისტიკის, ასევე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის კაბინეტები. ეს სასწავლო კაბინეტები აღჭურვილია სპეციალიზებული ბიბლიოთეკებითა და თანამედროვე ტექნიკით, რაც დიდ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ- მასწავლებლებს მათ საქმიანობაში. შეიქმნა თავისუფალი სივრცეები სტუდენტთათვის, ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი.

ფაკულტეტზე არსებობს საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების წარმატებულად ჩატარების ტრადიცია (ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში; ბიზანტინოლოგია საქართველოში, საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, სემიოტიკის კონფერენციები, დოქტორანტთა კონფერენციები და სხვ., ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო საზაფხულო სკოლები (ქართველოლოგიის, დიგიტალური ჰუმანიტარიის, უცხოური ენების), რაც მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს ფაკულტეტის პრესტიჟისა და ცნობადობის ზრდას.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა სტუდენტური ღონისძიებების სიმრავლით. სტუდენტები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, „საერთაშორისო განათლების ცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით სისტემატურად ეწყობა გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების წარდგენა (ევროპული განათლების დღე, ამერიკული განათლების დღე, შემოქმედებითი წერის კონკურსები და ა.შ.).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს შესაბამისი აკადემიური პოტენციალი და რესურსები, რომ წარმატებით განახორციელოს წინამდებარე სტრატეგიული სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანები, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ფაკულტეტის ძირითადი მიზნისასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

ფაკულტეტის ძლიერი მხარეებია:

- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება და კონკურენტუნარიანობა (სწავლების სამივე საფეხურზე);
- ინტერნაციონალიზაცია, გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- სამეცნიერო პოტენციალი, წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა;
- კომპეტენტური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ჩამომაყალიბა წარმატებულ პიროვნებად. ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ფილოლოგიაში მომენიჭა. 4 შესანიშნავი წელი გავატარე ყველაზე კვალიფიციურ და შრომისმოყვარე ლექტორებთან ერთად, რომელიც იყო ძალიან აქტიური პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, რადგან ხშირად ვიღებდი მონაწილეობას სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ამერიკის მშვიდობის კორპუსის მიერ გამართულ წერით ოლიმპიადებში, სხვადასხვა ფორუმებსა და კონფერენციებში, რომელიც როგორც უნივერსიტეტის, ასევე რეგიონის მასშტაბით ტარდებოდა. აქ მიღებული ცოდნა დამეხმარა გავმხდარიყავი დამოუკიდებელი თარჯიმანი. 2015 წლიდან ვთანამშრომლობ ბრიტანეთის საბჭოსთან საქართველოში პროექტის - „საშემსრულებლო ხელოვნების მხარდაჭერის პროგრამა აჭარაში“ - ფარგლებში, არაერთ ბრიტანელ რეჟისორთან და ტრენერთან მიმუშავია. სამაგისტრო საფეხურზე სწავლა ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის პროგრამაზე გავაგრძელე. სოციოლოგიის პროგრამა სიახლეა ჩვენი უნივერსიტეტისთვის. მას საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა. ამ პროგრამაზე ასწავლიან როგორც თბილისელი, ასევე ბათუმელი პროფესიონალი სოციოლოგები. 2017 წლის თებერვალში გავიმარჯვე ERASMUS + ის გაცვლით პროგრამაში და გავემგზავრე ავსტრიაში, ქალაქ ზალცბურგში, სადაც ვსწავლობდი ზალცბურგის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე. ამ პროგრამაში მონაწილეობა იყო საუკეთესო გამოცდილება ჩემს ცხოვრებაში. ერთი სემესტრი გავატარე მოცარტის ულამაზეს მშობლიურ ქალაქში, სადაც ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე და ცოდნა გავიღრმავე ავსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ უნივერსიტეტში.

დღეს რომ ვიყო აბიტურიენტი და ვფიქრობდე, სად ჩავაბარო, აუცილებლად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ავირჩევდი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ნამდვილად არის თქვენი წარმატების გარანტი.“

ქეთევან ტვილდიანი,
სოციოლოგიის მეორე კურსის
მაგისტრანტი

„ბავშვობაში ხშირად მიოცნებია დროში მოგზაურობაზე, მაინტერესებდა რას გავაკეთებდი ამა თუ იმ ისტორიული გმირის ადგილას რომ აღმოვჩენილიყავი, შევცვლიდი თუ არა წარსულს და რა სახეს მიიღებდა მომავალი.

ამ ოცნებას ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოვუძებნე, სადაც უკვე მეოთხე წელია ვსწავლობ ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამაზე. აქ საშუალება მომეცა აუდიტორიაში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამომეცადა. ჩვენ გვქონდა ორი დაუვიწყარი პრაქტიკული კურსი არქეოლოგიასა და ეთნოლოგიაში, ასევე დამატებით ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონფერენციებში, რომელიც იმართებოდა ჩვენი ფაკულტეტის ან სხვა სასწავლებლის მონაწილეობით. ერთი კვირის განმავლობაში, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ვიმყოფებოდი იტალიაში, სადაც თანამედროვე დიზაინის საკითხებს განვიხილავდით ისტორიულ ცენტრებში. გარდა ამისა, ჩემთვის საინტერესო იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ,,ანტიკურობის თანამედროვეობის'' შესახებ ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა, სადაც მოხსენება წავიკითხე. ამჟამად ჩართული ვარ პროექტში - ,,შეისწავლე საქართველოს ისტორია, გახდი მკვლევარი''- რომელიც საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების მონაწილეობით ხორციელდება.

თუ თქვენთვის საინტერესოა ჩემი გამოცდილება, გირჩევთ, რომ ჩააბაროთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გისურვებთ წარმატებას!

ზვიად ჩხენკელი, ისტორიის
სპეციალობა, მეოთხე კურსი

ჰუმანიტარული მეცნიერებების მნიშვნელობა და დამსახურება თვალსაჩინოა ყველა დროის ყველა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს კარგად ესმის ამ ფაკულტეტის მნიშვნელობა. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი არ იყოს მონოტონური და მოსაწყენი, სტუდენტები მხოლოდ მშრალი ფაქტებით რომ არ შემოიფარგლონ, ხშირად იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, აქტივობები, რომელშიც მონაწილეობა თავადაც არაერთხელ მიმიღია. მსგავსი გამოცდილება იძლევა საშუალებას, შეძენილი ცოდნა პრაქტიკულადაც გამოვიყენოთ და საუნივერსიტეტო ცხოვრება უფრო მეტად ხალისიანი გავხადოთ.

დაჩი მეჯიდი,
ქართული ფილოლოგია,
მესამე კურსი

განათლების ფაკულტეტი – ჩემი არჩევანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტს წარმატებით არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს. ვინც საკუთარ თავს მომავალში მასწავლებლის პროფესიაში ხედავს, აღნიშნულ ფაკულტეტზე მოხვედრა მისთვის საუკეთესო არჩევანი იქნება.

განათლების ფაკულტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

სწავლებისა და განათლების თანამედროვე მიდგომები და პროფესორ-მასწავლებელთა გამოცდილება და კვალიფიკაცია სრულებით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კურსდამთავრებულები მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, კონკურენტუნარიანები იყვნენ არა მხოლოდ დასაქმების კუთხით, არამედ უპასუხონ განათლების სფეროში არსებულ ნებისმიერ გამოწვევას.

განათლების ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა ერთ-ერთია მათ შორის, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს. ამ პროგრამის სიახლე და უპირატესობა ისაა, რომ იგი 300-კრედიტიანი ხდება. შესაბამისად, ამ ეტაპზე ბსუ-ში აკრედიტაციისთვის მზადდება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, სადაც სწავლა სტუდენტს 5 წლის მანძილზე მოუწევს და მისი დასრულების შემდეგ მაგისტრის ხარისხი მიენიჭება. პროგრამის წარმატებით აკრედიტაციის შემთხვევაში აბიტურიენტები 2018 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის ცვლილებების ვადის ამოწურვამდე შეძლებენ ამ პროგრამის არჩევას.

ბსუ-ს განათლების ფაკულტეტი ჩართულია საერთაშორისო საგრანტო პროგრამებშიც და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, მობილობის ფარგლებში გაეცნონ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების გამოცდილებას.

ფაკულტეტს ჰყავს სახელობითი სტიპენდიის მფლობელი წარმატებული სტუდენტებიც...

მოდი ბსუ-ში!

„2012 წელს ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. მაშინ ერთი პატარა, დაბნეული გოგონა ვიყავი, რომელიც მისთვის უცხო გარემოში მოხვდა. პატარა სკოლას შეჩვეულს, სადაც ყველა მიცნობდა, პატივს მცემდა და ვუყვარდი, ძალიან მეუცხოვა ეს გარემო. თანდათან ყველაფერი შეიცვალა. გავიცანი უამრავი ადამიანი, სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები და მიხვდი, რომ ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც უნდა ჩამებარებინა. სითბოთი, სიყვარულით და პროფესიონალებით სავსე გუნდმა შეუძლებელია გულგრილი დაგტოვოთ. მას შემდეგ მეც ერთი, პატარა ჯაჭვი ვარ ამ გუნდის, გუნდის — სახელად განათლების ფაკულტეტი.

ჩემთვის, ბსუ-ს სტუდენტობა უდიდესი პასუხიმგებლობაა, უნივერსიტეტისა — რომელსაც აქვს 83-წლიანი გამოცდილება. მისი კედლები მოწმეა არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენისა, მას აღუზრდია უამრავი ცნობილი და წარმატებული ადამიანი. ჩემთვის ეს უნივერსიტეტი არის ჩვენი ქალაქის მაჯისცემის განმსაზღვრელი, იგი მუდმივად ცდილობს ქალაქის განვითარებაზე, გვეხმარება სტუდენტებს საკუთარი თავის თვითრეალიზაციაში, მომავალი ცხოვრების სწორად დაგეგმვაში, გვაძლევს შესაბამის ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ჩემთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ ვარ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი, უნივერსიტეტის, რომელმაც არსებობა დაიწყო, როგორც პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. დღეს მეც პედაგოგი ვარ, ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის "მეგასკოლის" მასწავლებელი. ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს უნივერსიტეტს და ფაკულტეტს. ბავშვებთან მუშაობა ძალიან რთული, მაგრამ ამავე დროს ძალიან სასიამოვნოა. ისინი მმატებენ ენერგიას, მაძლევენ სტიმულს, რომ კიდევ უფრო უკეთესი მასწავლებელი გავხდე. მუშაობდე ბავშვებთან, პატარა ანგელოზებთან, რომლებიც ძალიან სუფთა, სპეტაკნი და საყვარლები არიან, ეს დიდი სიამოვნებაა და ამასთანავე, ძალიან საპასუხისმგებლო.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად შემოვდგი ფეხი ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტში. დღეს უკვე განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი ვარ და ვმუშაობ სამაგისტრო ნაშრომზე.

ეს ექვსი წელიწადი ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი იყო. წარმატებით დავასრულე საბაკალავრო პროგრამა, ვიყავი სტიპენდიანტი, ვმონაწილეობდი უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამასა თუ კონფერენციებში. მოსწავლეებთან ერთად ვმონაწილეობდი სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის კლუბის მიერ მოწყობილ კონფერენციებში, ამასთან ვარ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულიც. ეს ყველაფერი მეხმარება ჩემი მომავალი სამეცნიერო გეგმების განხორციელებაში. ვაპირებ სწავლა გავაგრძელო შემდეგ საფეხურზედა ამჯერადაც, ჩემი რჩეული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

2017 წელს გავხდი ფაკულტეტის სახელობითი სტიპენტიის მფლობელი. ვარ სტუდენტთა თვითმმართველობის აქტიური წევრი, ვცდილობთ სტუდენტებისთვის და ქალაქის საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეები ვაკეთოთ, გავუხალისოთ სტუდენტებს ჩვენთან გატარებული წლები და დავეხმაროთ მათ მათი პრობლემების მოგვარებაში.

ამჯერად, ჩვენს უნივერსიტეტს რთული პერიოდი უდგას, წინ აკრედიტაცია გველოდება. მე ამჯერადაც მის გვერდით ვდგავარ. ფაკულტეტის ლექტორებთან ერთად ვმუშაობ საბაკალავრო პროგრამის განახლებაზე. სტუდენტები, რომლებიც გადაწყვეტენ ჩვენს ფაკულტეტზე ჩაბარებას, მათ განახლებული პროგრამა დახვდებათ, კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი.

ჩემო მეგობრებო! ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა თქვენს მისაღებად. აქ თქვენ დაგხვდებათ სითბოთი, სიყვარულითა და პროფესიონალებით სავსე გუნდი. ისინი თქვენგან შექმნიან წარმატებულ ადამიანებს. გახდებით უფრო მეტად თავდაჯერებულები, ვიდრე ხართ და უფრო აქტიურები, ვიდრე იყავით.

თუ კი გსურს შენი ცხოვრება იყოს საინტერესო, წარმატებული და ბედნიერი, გქონდეს აქტიური და ხალისიანი სტუდენტური ცხოვრება, მაშინ ბსუ სწორედ ის ადგილია, სადაც უნდა მოხვდე.

მელანო ვარშანიძე,
განათლების ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

რეფორმები და ცვლილებები განათლების სფეროში ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხედვასთან - იკვეთება სახელმწიფო პრიორიტეტები, ვითარდება სხვადასხვა დარგი, იცვლება პროფესიული გარემო და დასაქმების სფეროები. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში საბუნებისმეტყველო მიმართულებით შეიქმნა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. დღეისათვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პრიორიტეტებს და დაფინანსებად საგანმანათლებლო პროგრამებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ფუნდამენტურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიენიჭა, რაც რა თქმა უნდა, ზრდის მათ მიმართ ინტერესს.

სწავლებასა და კვლევას ტრადიციულად ემსახურება ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საფეხურის 23 საგანმანათლებლო პროგრამა - ორი პროფესიული, სამი ერთსაფეხურიანი, შვიდი საბაკალავრო, ხუთი სამაგისტრო, ორი სადოქტორო და ოთხი რეზიდენტურის. ბიოლოგიისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა უფასოა - სტუდენტთა დაფინანსება სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი. ფაკულტეტს დიდი ტრადიციები აქვს, რისი დასტურიც არის ის, რომ იმ ოთხ ფაკულტეტს შორის, რომლის ბაზაზე, 83 წლის წინ, აჭარაში ჩამოყალიბდა პირველი უმაღლესი სასწავლებელი, ერთ-ერთი საბუნებისმეტყველო მიმართულება იყო. ფაკულტეტზე მრავალი ღირსეული თაობა აღიზარდა. სწორედ, მათი დამსახურებაა, რომ დღეს ფაკულტეტზე მაღალი კომპეტენციის სამეცნიერო–პედაგოგიური კადრები მოღვაწეობენ.

ბოლო წლებში, ფაკულტეტზე ამოქმედდა ექვსი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ერთი მხრივ, პირველი უცხოენოვანი პროგრამაა ბსუ-ში, ხოლო მეორე მხრივ, ინტეგრაციის ხასიათითა და სტრუქტურული მრავალფეროვნებით ქართულ სამედიცინო საგანმანათ-ლებლო სივრცეში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. აღნიშნულ პროგრამაზე დღეისათვის ჩარიცხულია 417 უცხოელი მოქალაქე. ჯანდაცვის მიმართულებით ამოქმედდა: პირველი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პრაქტიკოსი ექთნის და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამები; ასევე, ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. წინ გადადგმული ნაბიჯები გვაქვს ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით - თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ბსუ-ში ჯანდაცვის მიმართულებით მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად გადიან მარატ ოსპანოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრანტები. ამოქმედდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა - „ბსუ-დენტი“, რომელიც ჩართულია სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისა და დიპლომის-შემდგომი სამედიცინო განათლების - სარეზიდენტო პროგრამების განხორციე-ლებაში. კლინიკის ბაზაზე ტარდება პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობები, ასევე, მიმდინარეობს სარეზიდენტო პროგრამების კლინიკური მოდულების სწავლება. გაიხსნა მულაჟებითა და სიმულატორებით აღჭურვილი სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები მულაჟებისა და სიმულაციების მეთოდების გამოყენებით ჩამოუყალიბდეთ.

საგრანტო პროექტის ფარგლებში ფაკულტეტზე ამოქმედდა დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, რომელიც ჩართულია, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სამეცნიერო კვლევებში. ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა საჯარო ლექციების ციკლი, საზაფხულო სკოლები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ღონისძიებები. მოეწყო სივრცეები სტუდენტებისთვის, ფაკულტეტს ამშვენებს განახლებული ზოოლოგიის, მინერა-ლოგიის კაბინეტები და იმუნოგენეტიკის ლაბორატორია. დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან კონტაქტების გაფართოების მიზნით ხელი მოეწერა ახალ მემორანდუმებს, მათ შორის, უცხოეთის უნივერსიტეტებთან. გაფართოვდა საერთაშორისო ურთიერთობები, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, გააქტიურდა გაცვლითი პროგრამები, მოეწყო საქველმოქმედო, სამედიცინო და სოციალური აქციები; 2017-2018 სასწავლო წელს შევხვდით სტუდენტთა მზარდი რაოდენობით და სამჯერ გაზრდილი ფაკულტეტის ბიუჯეტით.

მომავალი წლები კიდევ უფრო საინტერესო და ახალი გამოწვევებით სავსე იქნება. უპირველეს ყოვლისა, ფაკულტეტს აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. განათლებაზე, ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტირებული სწავლება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კადრების, ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ კვლევებზე ორიენტირებული მკვლევარების აღზრდა ფაკულტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. დღეისათვის ფაკულტეტის ძირითადი პრიორიტეტი გეგმიური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესის წარმატებულად გავლაა. ამასთან დაკავშირებით, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებული გვაქვს. მედიცინის მიმართულებით დაგეგმილია OSCE-ის ფორმატის გამოცდების ამოქმედება. ეს არის სტუდენტთა მოდელირებული, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, რომელიც რეალობაზე დაფუძნებულ და სიმულირებულ გარემოში ავლენს სტუდენტის კლინიკურ უნარ–ჩვევებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებში საველე პრაქტიკები აუცილებელი კომპონენტია. ვფიქრობთ, სტაციონარული ბაზების არსებობა შეამცირებს საველე პრაქტიკის ხარჯებს და აამაღლებს სწავლების ხარისხს. შავიზღვის ბიოლოგიის, ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი პრობლემები დღეს მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტს რეგიონში წამყვანი პოზიცია უნდა ჰქონდეს. სწავლებასა და კვლევაზე ორიენტირებული საფაკულტეტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით ფაკულტეტზე დაგეგმილია ეკოლოგიის, მიკრო-ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვა. განახლების პროცესშია თანამედ-როვე მოთხოვნების შესაბამისი ბოტანიკის, ანატომიისა და გეოგრაფიის კაბინეტები, უჯრედული ბიოლოგიის, ქიმიის, ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიები. დაგეგმილია საიმიტაციო აფთიაქის „ბსუ ფარმას'' მოწყობა. მნიშვნელოვანია პროფესიულ გარემოსთან ინტეგრირება და კონტაქტები. ამ მიზნით აუცილებელია ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავება პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათი ინტერესების გათვალისწინება, რაც შესაძლებელია, კურსდამთავრებულთა პროფესიული სრულყოფის საწინდარი გახდეს. ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებლად მიმაჩნია ფაკულტეტის პრიორიტეტებისა და კვლევების სწორი დაგეგმვით, აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებული და ეფექტური მართვით, მათ განხორციელებაში თითოეული აკადემიური პირის, მოწვეული სპეციალისტისა თუ სტუდენტის აქტიური ჩართულობით.

ბსუ გელით!



„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ჩემთვის არის შანსი, გავხდე წარმატებული და თვითრეალიზებული პიროვნება. ნამდვილად შესამჩნევია განსხვავება სკოლის მერხთან გატარებულ წლებსა და სტუდენტურ ცხოვრებას შორის. ამავდროულად, ეს ნიშნავს, მიიღო მაღალი ხარისხის განათლებადა დაამყარო საერთაშორისო კონტაქტები, მოიარო ევროპის ქვეყნები და გაიზიარო ნაყოფიერი პროფესიული გამოცდილება. ამ უნივერსიტეტის სტუდენტობა განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას გვთავაზობს როგორც პროფესიული, ასევე სპორტულ-შემეცნებითი თვალსაზრისით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს მრავალწლიანი ისტორია აქვს, რაც ხაზს უსვამს გამოცდილებასა და ხარისხს. ამავდროულად, ბსუ ერთ-ერთი სასურველი მასპინძელი უნივერსიტეტია არა მარტო ქართველებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც.

ჩემთვის, როგორც მომავალი ექიმისათვის, უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი განათლების მიღება. ბსუ კი იძლევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზაციისშესაძლებლობას. ამ უნივერსიტეტში არსებულმა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიამ და თანამედროვე სწავლების სისტემამ კიდევ უფრო გამიღრმავა სწავლისადმი ინტერესი და მეტის მიღწევის სურვილი გამიჩინა. გარდა ღრმა თეორიული ცოდნისა, შესაძლებლობა მომეცა უფრო აქტიური გავმხდარიყავი და მონაწილეობა მიმეღოსხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში, აქციასა და კონფერენციაში.

უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი და შესაძლებლობების რეალიზების საფუძველი გახდა. იგი ჩემთვის ერთ დიდ ოჯახთან ასოცირდება. მეგობრები და ის მხიარული ატმოსფერო, რომელიც ამ უნივერსიტეტში მხვდება, კიდევ უფრო მოტივირებულს მხდის და ამასთან, მიღვივებს უნივერსიტეტში მისვლის სურვილს. ამას, რა თქმა უნდა, ემატება ხარისხიანი განათლების მიღების პერსპექტივა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვფიქრობ, ჩემი საქმის კარგი სპეციალისტი ვიქნები და მექნება ის ბაზა, რომელიც საჭიროა კარიერული წინსვლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მე-2 კურსზე ვარ, ჩემი სტუდენტური ცხოვრება საკმაოდ ნაყოფიერია. თავიდანვე დავისახე მიზნად სტიპენდიის მოპოვება დასტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. არც თუ მცირე შრომა გავწიე ამისათვის და ბევრ რამეზეც ვთქვი უარი, თუმცა საბოლოოდ მიზანს მივაღწიე და მოვიპოვე პირველი სტიპენდია. ვარ სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი და ვცდილობ, ნაყოფიერი და საინტერესო გავხადო სტუდენტთა ცხოვრება“.

დავით ქობულაძე,
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დღეს ქვეყანაში უდავოდ არსებობს მოთხოვნა არამხოლოდ მენეჯერებზე, არამედ იმ სპეციალისტებზე, რომლებიც იცნობენ და პრაქტიკაში შემოქმედებითად იყენებენ ეკონომიკისა და ფინანსების თანამედროვე თეორიებს, აქვთ სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევები, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფუნდამენტური ეკონომიკის პრობლემატიკის განხილვა-ანალიზსა და განვითარებაში. სწორედ ამგვარი სპეციალისტების ჩამოყალიბების ამოცანის გადაჭრაში წვლილი შეჰქონდა, შეაქვს და მომავალშიც შეიტანს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს. ამიტომ ყოველთვის ველოდებით მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის შევსებას. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამებს სამივე დონეზე. ბაკალავრიატში – ფინანსების, მენეჯმენტის, საბუღალტრო და საგადასახადო საქმის, მარკეტინგის და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებს. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა ღებულობს სახელმწიფო დაფინანსებას. მაგისტრატურაში – ფინანსები და საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, ხოლო დოქტორანტურაში – ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ბიზნესის ადმინისტრირება და ეკონომიკა.

ჩვენი საქმიანობის პრორიტეტულ მიმართულებად მივიჩნევთ ფაკულტეტის მისიით განსაზღვრული ამოცანების რეალიზებას. კერძოდ, დროის მოთხოვნათა შესაბამისი კადრების მომზადებას, მაღალი პროფესიონალიზმის დამკვიდრებას, განათლების სისტემის რეფორმის შესაბამისად დიფერენცირებული სწავლის პრინციპების დაუყონებლივ დანერგვას, ფაკულტეტის სპეციალური, სასწავლო–მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას, სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, სწავლების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების აქტიურ გამოყენებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას უცხოეთის სასწავლო ცენტრებიდან, საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან ურთიერთობების დამყარებას გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ევროპის კავშირის ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთკავშირების განვითარების გათვალისწინებით ჩვენ ვაგრძელებთ უნივერსიტეტში არსებულ პრაქტიკას და საგანგებო ყურადღებას ვუთმობთ უცხოური ენების სწავლებას. მიმდინარე სასწავლო წელს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები დადგება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის აუცილებლობის წინაშე, ეს პროცესი ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის და ყურადღების ობიექტს წარმოადგენს.

უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, სასწავლო პროცესის მონაწილე მთავარი სუბიექტის – სტუდენტის მოტივირებული და აქტიური პოზიცია, პასუხისმგებლობის გრძნობა, შემოქმედებითი აქტივობა, მისი სწრაფვა პროფესიის დაუფლებისაკენ, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისაკენ. ფაკულტეტი უზრუნველყოს ამ მისწრაფების წახალისებას, წარმართვას და განვითარებას. ჩვენი ამოცანაა სტუდენტებს შევუქმნათ სწავლისა და შემოქმედებითი საქმიანობის ისეთი პირობები, რომ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

ისწავლე ბსუ-ში!

“ვიყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ნიშნავს მივიღო სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რაც დამეხმარება პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ბსუ-ში გატარებული სტუდენტობის წლები ჩემთვის ნაყოფიერი, საინტერესო და მრავლისმომცველია. ეს დრო საუკეთესოა არა მარტო ცოდნის გასაღრმავებლად, არამედ ადამიანური ურთიერთობების სასწავლად, რადგან ყოველდღიურად ურთიერთობა მაქვს მაღალკვალიფიციურ პროფესორებთან, რაც პროგრესულ და თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბების გარანტიას მაძლევს.

ბსუ არის უნივერსიტეტი, სადაც შესაძლებელია მიიღო ცოდნა, მოისმინო მაღალკვალიფიციური ლექტორების ლექციები, მიიღო მონაწილეობა საინტერესო სემინარებში, კონფერენციებსა თუ კონკურსებში.

2016 წელს მაღალი შეფასებების გამო დამენიშნა საუნივერსიტეტო სტიპენდია 600 ლარის ოდენობით;

2017 წელს მაღალი შეფასებისა და სოკარის ადმინისტრაციასთან წარმატებით გავლილი გასაუბრების საფუძველზე გავხდი სოკარის სტიპენდიანტი და სტიპენდია დამენიშნა 3000 ლარის ოდენობით. უღრმესი მადლობა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და „შოცარ ეორგია ეტროლეუმ“-ს, რათა საშუალება მომცა კონკურსში მონაწილეობა მიმეღო.

2017 წელს, ბსუ-მ საშუალება მომცა მონაწილეობა მიმეღო სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში და სტაჟირება გავიარე სსიპ შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში, სადაც თეორიულ ცოდნასთან ერთად მივიღე პრაქტიკული გამოცდილება.

ბსუ იძლევა საშუალებას, აქტიურად ვიყო ჩართული უნივერსიტეტის მართვაში, დავგეგმო და განვახორციელო საინტერესო პროექტები. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი აკადემიური პოტენციალი და რესურსები, რომ დაძლიოს სირთულეები და განახორციელოს დასახული მიზნები, რაც ხელს უწყობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ამის საფუძველზე, მომავალი თაობის კონკურენტუნარიან სპეციალისტად აღზრდასა და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტი ჩემი პატარა ოჯახია, რადგან ჩემი დროის უმეტეს ნაწილს აქ ვატარებ. ყოველდღიურად ურთიერთობა მაქვს მაღალკვალიფიციურ პროფესორებთან, რომელთა ლექციები თეორიული მასალის მიწოდებასთან ერთად მოწოდებულია სტუდენტებისთვის სწავლის მოტივაციის გაზრდისკენ. ასევე ურთიერთობა მაქვს სტუდენტებთან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულებები არიან. ურთიერთობა კი განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანებთან, რომლებიც შენგან ბევრი რამით განსხვავდებიან.

თავისუფალ დროს ვატარებ მეგობრებთან ერთად, ვვარჯიშობ ან ფოტოებს ვიღებ. მიყვარს როდესაც ფოტოებს მიღებენ, ფოტომოდელი ვარ. პირველი ოფიციალური ფოტოსესია 16 წლის ასაკში მქონდა. ხშირად ვხვდები ფოტოგრაფების ინტერესის ობიექტი ჩემი წითური თმებისა და ჭორფლების გამო. 2017 წელს გადაღება მქონდა ცნობილი დიზაინერის ტანისამოსში. 2017 წელს ასევე გადამიღეს აჭარის საიმიჯო რეკლამაში “აჭარის ფერები”. ასევე მონაწილეობა მივიღე წითურების დღეზე „მის წითურის“ კონკურსში და „მის წითური 2017“ გავხდი. ასევე ფილმში



გადაღების რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, თუმცა დროის უქონლობის გამო, უარი ვთქვი”.

მირანდა ზაქარაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ჩვენ ვახორციელებთ ტექნოლოგიების სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებულ განათლებას

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი მაღალი ხარისხის, ევროპულ სტანდარტებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის განათლებას სთავაზობს ინჟინერიის და აგრარული სფეროებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

ფაკულტეტზე შემუშავებულია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებს დასაქმების ბაზრის მზარდ მოთხოვნებს. ჩვენთან ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები. მათ თავისებურებას განაპირობებს ძირითად სასწავლო კურსებთან ინტეგრირებული მართვის ავტომატიზირებული სისტემების ისეთი საინჟინრო კომპიუტერული პროგრამები, როგორიცაა: AutoCAD, 3D Studio Max, LIRA, MathCAD,MATLAB, CableProjectCAD, C++, SAP 2000...., რომლებიც პასუხობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნებს.

ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე უცხოური გამოცდილების საფუძველზეა სასწავლო პროცესი ორგანიზებული. ფაკულტეტს საინჟინრო და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, მათ შორის - ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ფინეთის ტურკუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან, ბრანდენბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავლებელთან, ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი გაცვლითი პროგრამების საშუალებით ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საზღვარგარეთ, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამები ორი მიმართულებით -ინჟინერიისა და აგრარული მიმართულებით ხორციელდება. სტუდენტთა განათლების სრულყოფას ემსახურება კვალიფიცირებული კადრები, რომელიც წარმოდგენილია 33 პროფესორისა და ამდენივე მოწვეული სპეციალისტით. ტექნოლოგიური ფაკულტეტი საბაკალავრო დონეზე ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: მშენებლობა (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), არქიტექტურა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, აგრონომია (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია. სამაგისტრო საფეხურზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, აგრარული ტექნოლოგიები. სადოქტორო საფეხურზე სწავლის მსურველებს ვთავაზობთ - სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობასა და აგროეკოლოგია მცენარეთა დაცვის პროგრამებს. ფაკულტეტზე სრული სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ,,მშენებლობის მწარმოებელი'', ,,არქიტექტორ-ტექნიკოსი'', ,,მეფუტკრე'', ,,ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი''.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტური ცხოვრებაც სიახლეებით დატვირთული, მიმზიდველი და საინტერესოა, ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური თვითმოქმედი კოლექტივები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე 2015 წლიდან საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინოვაციური ლაბორატორია ფაბლაბი ფუნქციონირებს. FABLAB BSU ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესისა და აკადემიური სექტორის დაახლოებას უწყობს ხელს, ასევე, ამაღლებს სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას და მათი დასაქმების შანსს უწყობს ხელს. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით. ფაბლაბში დამონტაჟებულია 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი და სხვა პროგრამირებადი დაზგა-დანადგარები, რაც ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს პროდუქტის პროტოტიპირების, ტესტირებისა და მათი მცირე რაოდენობით წარმოების საშუალებას აძლევს.

ინოვაციების ლაბორატორიაში ნებისმიერ სტუდენტს საშუალება აქვს პრაქტიკულ და ბაზარზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებასთან ერთად გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. ფაბლაბში ისინი ბაზრის ლიდერი კომპანიების მიერ გამოყოფილ მენტორებთან ერთად არქიტექტურულ და სამშენებლო პროექტებზე მუშაობენ. გარდა ამისა, მათ შეაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ და განავითაროონ პროექტები ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობებისათვის.

ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებაზე, უახლესი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ინ ვიტრო ლაბორატორია ფუნქციონირებს, რომელიც ითვალისწინებს ინ ვიტრო მეთოდით მცენარეთა გამოყვანას ქსოვილური კულტურის ლაბორატორიაში. ასევე ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბური, სადაც სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ხორციელდება.

ჩვენი უპირველესი მიზანია, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოვამზადოთ ამ დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრები. მათი დასაქმების ძირითადი სფეროებია: სამშენებლო კომპანიები (მშენებელი, არქიტექტორი, სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი), ნავთობისტერმინალები, გაზისა და გაზსადენების კომპანიები, სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, სატელეკომუნიკაციო ქსელები, აგროსერვისცენტრები, ფერმერული მეურნეობები და სხვ. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის წამყვან საინჟინრო და აგრარული მიმართულების კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტები გადიან სანარმოო პრაქტიკასა და სტაჟირებას, ასევე ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაც, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რეგიონში არსებული კომპანიები.

ისწავლე ბსუ-ში!

„ჩემი მოწოდებაა ვიყო ინჟინერ-მშენებელი, რამაც ბიძგი მომცა, მიმემართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის. სტუდენტობის დროს გავიგე, რომ ეს სპეციალობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ფუნქციონირებდა. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ საბუთები აქ გადმოვიტანე და არც შევმცდარვარ, ვინაიდან სწავლაში მოტივაცია არ მაკლიადა ამასთან, ადგილობრივი პედაგოგ-მასწავლებლების დახმარებით, შესაძლებელია წარმატებული იყო.

ვარ შავი ქამრის მფლობელი. ამ წარმატების გამო ბსუ-ს ადმინისტრაციამ მადლობა გამომიცხადა, ერთი წლით სასწავლო პროცესი დამიფინანსა და საპატიო სიგელიც გადმომცა.

მეორე წელია ვსწავლობ ბსუში.მომწონსგარემოდასწავლისპროცესი,იზრდებაჩემიგონებრივიშესაძლებლობები,რაცმახარებს. მყავს რამდენიმეძალიან, ძალიანკარგილექტორი და მათგან ვისმენ უაღრესად საინტერესო ლექციებს. . უნივერსიტეტმა მომცა ინოვაციები, მყუდრო გარემო, მეგობრები. ყოველთვის მაქვს ხელშეწყობა ბსუ-ს ადმინისტრაციისგან როგორც სპორტის, ასევე სწავლა-განათლების მხრივ.

მესამე წელია, რაც სტუდენტი ვარ. ეს წლები ჩემთვის გამორჩეულია. ვცდილობ ნაყოფიერად გამოვიყენო ეს პერიოდი, რათა მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტად ჩამოვყალიბდე და გავამართლო იმედები, რასაც ჩემი ქვეყანა, საზოგადოება და მშობლები ამყარებენ. სტუდენტობა, ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს გრძნობ, რომუკვ ედიდი ხარ, საკუთარი თავი შენ გეკუთვნის და მომავალი შენზეა დამოკიდებული. ეს ყველაფერი ყველასთვის საერთოა, თუმცა ზოგისთვის შეგრძნებად რჩება, ზოგისთვის – მოქმედებად.

ლექციების მერე სამსახურში მივდივარ, სადაც საღამომდე ვარ. ამის შემდეგ, ძირითადად ვმეცადინეობ, ხოლო დარჩენილ დროს სავარჯიშოდ ვიყენებ. მართალია აქტიურ სპორტულ კარიერას ჩამოვშორდი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ ფორმა შევინარჩუნო.“

ბესიკ ჩხიკვაძე,
ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აერთიანებს მათემატიკის, ფიზიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტებს. ფაკულტეტზე დასაქმებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 35 პიროვნება, მათ შორის 6 პროფესორი, 17 ასოცირებული და 5 ასისტენტ პროფესორი. ფაკულტეტთან არსებობს უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები. ფაკულტეტს ემსახურება სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერების ერთერთი ყველაზე დინამიურად გან-ვითარებადი დარგია. მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენებამ განაპირობა ინფორმაციის შექმნისა და დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ახალი მეთოდებისა და წესების დანერგვა პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ შრომის ბაზარზე არის საინფორმაციო ტექნო-ლოგიების სპეციალისტების მაღალი მოთხოვნილება, რაც უქმნის საკმაოდ მყარ ეკონომიკურ ბაზას დარგის სპეციალისტების მომზადებას. მიუხედავად ამისა, რეგიონში იგრძნობა საინფორმაციო ტექნოლოგიების კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. სპეციალისტს, რომელსაც ექნება სრულყოფილი ცოდნა საინფორმაციო სისტემების და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, შეძლებს გაიღრმავოს ინფორმაციული კულტურა და აქტიურად გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები კომუნიკაციის, სწავლის, ინოვაციების დანერგვის, საქმიან ურთიერთობებსა და სოციალურ სფეროში, ექნება უნარი ოპტიმალურად გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგის ამოცანები თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და დაპროგრამების უახლესი მეთოდების გამოყენებით.

computer.org-ის რეკომენდაციით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც დეპარტამენტი წარმატებით ახორციელებს, განსაზღვრავს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

დეპარტამენტის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროს:

- მონაცემთა დამუშავების ალგორითმები
- დაპროგრამების ტექნოლოგიები
- მათემატიკური მოდელირება და გამოთვლების მეთოდები
- კომპიუტერის არქიტექტურა
- ინფორმაციის მენეჯმენტი
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები
- თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიები
- ოპერაციული სისტემები
- ნეირონული ქსელები და ინტელექტუალური სისტემები
- რობოტოტექნიკა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

• „კომპიუტერული მეცნიერებების“ აკრედიტირებული საბაკალვრო საგანმანათ-ლებლო პროგრამა.

• „ბიზნეს ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი; ვებ ინტერფეისის დიზაინერი; ვებ ინტერფეისის დეველოპერი; ვებ პროგრამისტი;

საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული კომპონენტის შინაარსობრივი თანმიმ-დევრობა და ლოგიკა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას.

> არითმეტიკა — მათემატიკის დედოფალია, მათემატიკა კი ყველა მეცნიერების.
>
> ***კარლ გაუსი***

მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამები:

ბაკალავრიატი

• მათემატიკა;

მოდული 1: მათემატიკა

მოდული 2: ფინანსური მათემატიკა;

მაგისტრატურა

• მათემატიკა:

მოდული 1: მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია;

მოდული 2: გეომეტრია - ტოპოლოგია;

მოდული 3: მათემატიკური ანალიზი - ალბათობის თეორია;

დოქტორანტურა

• გეომეტრია და ტოპოლოგია;

• თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები)

> ცხოვრებას ორი რამ ალამაზებს: ის, რომ შეგიძლია მათემატიკა შეისწავლო და ის, რომ შეგიძლია იგი ასწავლო.
>
> ***სიმეონ პუასონი***

მათემატიკის და ფინანსური მათემატიკის როლი თანამედროვე სინამდვილეში

დღეს, თითქმის არ არსებობს მეცნიერების მიმართულება, რომელიც არ იყენებს მათემატიკურ მეთოდებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათემატიკის როლი ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გენეტიკაში, მედიცინაში, ეკონომიკაში, სოციოლოგიაში, კომპიუტე¬რულ და სხვა მეცნიერებებში. თავის მხრივ, მათემატიკური მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარება, არამედ ნებისმიერი პრაქტიკული საქმიანობის წარმატებული მართვა.

> მათემატიკას უნდა ჰქონდეს ,,საყოველთაო მათემატიკის'' სტატუსი, ვინაიდან იგი შეიცავს ყოველივე იმას, რისი მეშვეობითაც სხვა მეცნიერებები მათემატიკის ნაწილებად იწოდებიან .
>
> ***რენე დეკარტი***

დასაქმების სფერო

მათემატიკის და ფინანსური მათემატიკის სპეციალობათა კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს და საბაზო საგანმანათლებლო, სახელმწიფო, საბანკო და კერძო დაწესებულებებში.

თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე თითქმის ნებისმიერი დარგის სპეციალისტისათვის აუცილებელია რაოდენობრივი მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა. სწორედ ამიტომ სამუშაო კადრების შერჩევისას უპირატესობა ენიჭებათ მათემატიკის და ფინანსური მათემატიკის სპეციალისტებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად, თუნდაც საბანკო, საგადასახადო, სადაზღვევო, საბაჟო და საერთოდ საფინანსო და ეკონომიკურ დაწესებულებებში ამ დარგის სპეციალისტები უფრო წარმატებულად მოღვაწეობენ.

> მეცნიერული და აკადემიური მიღწევების გამო გარე ექსპერტებმა ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აღიარეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ფაკულტეტად. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მათემატიკის დეპარტამენტის მიღწევებს.

რატომ ფიზიკა?

ფიზიკა მეცნიერებაა ბუნების მოვლენებისა და კანონზომიერებების შესახებ. ამიტომ ფიზიკა ყველგანაა, ჩვენს ირგვლივაა. ის არის არა როგორც ფორმულაში ჩაკეტილი, არამედ ბუნების ენის შემსწავლელი მეცნიერება სამყაროს ყოველდღიურობის, გარემომცველი მოვლენების შესახებ.

ფიზიკის სწავლა ჰგავს მძაფრსიუჟეტიან თავგადასავალს. ის გამოწვევაა, სამყაროს ლაბირინთებში გზის გაკვალვაა, ზოგჯერ რთული, მაგრამ საინტერესო, ქმედითი, დინამიკური სვლა მისი შემეცნების გზაზე.

გინდათ იცოდეთ არსებობს თუ არა პარალელური სამყარო, ფარული განზომილებები, ელემენტარული ნაწილაკების სამყარო,, შავი ხვრელი, „ღმერთის ნაწილაკი“?..

ისწავლეთ ფიზიკა ჩვენთან და გაეცით პასუხები.

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„საამაყოა მერქვას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის წარჩინებით (ოქროს მედალზე) დასრულების შემდეგ, მიუხედავად უნივერსიტეტთა ფართო სიისა, არჩევანი გავაკეთე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. სტუდენტობა ჩემთვის ასოცირდება აქტიური ცხოვრების რიტმთან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ სტუდენტმა თავი რეალიზებულად იგრძნოს, იქნება ეს აკადემიური მხარე თუ აქტიური კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

თუ დღეს რაიმე წარმატებას მივაღწიე, ეს სწორედ ბსუ-ს დამსახურებაა. აქ სწავლის პროცესში საფუძველი ჩაეყარა ჩემს მიზნებს და მათი განხორციელების საშუალებებს. ამ ყველაფერში კი დიდი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის ლექტორებმა და მომუშავე პერსონალმა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხშირად იმართება საერთაშორისო დონის კონფერენციები, სადაც სტუდენტებს საშუალება გვაქვს, მოვისმინოთ როგორც წარმატებული ადამიანების ლექციები, ასევე მონაწილეობა მივიღოთ კონფერენციებში, გავმართოთ საჯარო ლექციები. უნივერსიტეტი ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს სტუდენტთა ინიციატივებს. აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკა, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა საერთაშორისო სტანდარტებით არის აღჭურვილი, თუმცა უნივერსიტეტის მთავარი დადებითი ასპექტი — სტუდენტების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაა.

სწავლა ყოველთვის შედეგიანი და პერსპექტიულია. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პირადი გამოცდილება: როგორც წარჩინებული სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის პირველი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტის სახელით, ტემპუსის პროექტ MathGeAr-ით, ვსწავლობდი გერმანიის ისეთ წამყვან უნივერსიტეტში, როგორიცაა საარლანდის უნივერსიტეტი. მიღებული გამოცდილება დამეხმარა დავსაქმებულიყავი ჩემს ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან სკოლაში - Georgian-American School "Progress", სადაც ვასწავლი ინგლისურად მათემატიკას სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს, ვეცნობი მათ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს.

დატვირთული გრაფიკის გათვალისწინებით, თავისუფალი დრო შეზღუდულად მაქვს. თუმცა ვახერხებ ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში დასვენებას, ფორტეპიანოზე საყვარელი მელოდიების გაჟღერებასა და წიგნების კითხვას“.

თამარ ხილაძე,
ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ტურიზმის ფაკულტეტის მიღწევები და სამომავლო გეგმები

სასწავლო პრაქტიკა სამეგრელოს რეგიონში

საკმაოდ მარტივია ისაუბრო უკვე წარმატებულ ფაკულტეტზე. ჩვენთვის თანამედროვე გამოწვევების, განვითარებისა და ინოვაციებისკენ მისწრაფება სტრატეგიული განვითარების ძირითადი ორიენტირია. ვფიქრობ, ჩვენი გუნდის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალიზით წელს საქართველოში პირველ ხუთეულში ვართ და ვცდილობთ, არ დავთმოთ ასპარეზი. ყოველთვის მივისწრაფვით არაერთფეროვნებისკენ და მომავალში დაგეგმილი გვაქვს ძალიან ბევრი სიახლე როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად მოწვეული გვყავს როგორც ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლები, ასევე უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ტურიზმის ფაკულტეტი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის, შვერინის ბალტიკის კოლეჯთან და ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან (გერმანია), პოლონეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებთან.

თანამშრომლობით და გაცვლითი პროგრამებით ამაღლდა სწავლების ხარისხი, მზადდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, 400-მდე სტუდენტმა გაიარა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.

პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევით დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამები და ის მთლიანად შეესაბამება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებს.

ტურიზმის ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას, სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მიმზიდველი სასწავლო გარემო.

ტურიზმის ფაკულტეტის მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან ტურიზმის ინდუსტრიაში და მათ მხარს ვუჭერთ კარიერულ წინსვლაში.

II საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ბერლინში

სასწავლო პრაქტიკა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში

ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს სასტუმრო „ჰილტონი ბათუმმა“ ერთწლიანი სტიპენდიები გადასცა

ბსუ გელით!

„ვარ ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი. უნივერსიტეტში სტუდენტობა ჩემთვის ერთგვარი მშობლიური გარემოა, რომელიც ბავშვობიდან ახლობელი იყო: აქ მუშაობდა ბაბუა, აქ მუშაობს დედაჩემი.

აბიტურიენტობიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამებარებინა.

ჯერ ექიმობას ვგეგმავდი, მერე ფსიქოლოგიამ გამიტაცა, თუმცა ეროვნული გამოცდები რომ მოახლოვდა, ტურიზმის ფაკულტეტზე შევაჩერე არჩევანი.

რას ნიშნავს ჩემთვის ვიყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი? იცით, ასე მგონია, ჩვენი შესაძლებლობების რეალიზებისთვის, ცოდნის მიღებისა და პიროვნული განვითარებისთვის, პროფესიული და კარიერული ზრდისთვის, ბსუ სტუდენტებს ძალიან კარგ შესაძლებლობებს გვაძლევს.

მნიშვნელოვანია ის ჯანსაღი ურთიერთობა სტუდენტსა და პედაგოგს შორის, რაც სუფევს ბსუ-ში. აქვე მინდა აღვნიშნო, ძალიან გამიმართლა, ტურიზმის ფაკულტეტზე რომ ვსწავლობ. საოცარი ატმოსფეროა : ყურადღებიანი, მზრუნველი და სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირებული ჯანსაღი დამოკიდებულება.

ბსუ-ში სწავლის პირველივე წლიდან აქტიური და საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით ვცხოვრობ. სასწავლო კურსების უმეტესობას ინგლისურ ენაზე ვსწავლობ (ამის საშუალებას ე.წ. სპეც .ჯგუფები იძლევა). ლექციებს გვიკითხავს კომპეტენტური აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტზე ეწყობა არაერთი საინტერესო ღონისძიება, ჩამოდიან უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და ლექციებს კითხულობენ, ტარდება მასტერ-კლასები. სტუდენტებს შესაძლებლობა გვაქვს აქტიურად ჩავერთოთ როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში. ჩართული ვართ სტუდენტთ სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებსა და საზაფხულო სკოლებში. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივებზე, შექმნილია და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ატვირთულია სპეციალური პორტალი დასაქმების ხელშეწყობისათვის, რაც ძალიან კარგი წამოწყებაა. ჩვენი ფაკულტეტის მაგალითზე სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ბსუ-ში თეორიულ ცოდნასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამის დასტურია ის, რომ ბევრი კურსდამთავრებული და სტუდენტი დასაქმებულია ტურიზმის ინდუსტრიაში, რომელიც რეგიონისთვის და ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

განსაკუთრებული ხიბლი ბსუ-ში ჩარიცხული სტუდენტებისათვის ისიცაა, რომ გვაქვს შესაძლებლობა ევროპის არაერთ წამყვან უნივერსიტეტში გაცვლით სასწავლო პროგრამაში ჩავერთოთ.

მინდა ჩემი უნივერსიტეტის მისამართით განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო, რომ მომეცა საშუალება ჯერ კიდევ მეორე კურსზე სწავლისას მონაწილეობა მიმეღო ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტისა და გერმანიის ევროპული ბიზნესის სკოლის ,,EBC Hochschule -ს ორგანიზებით ჩატარებულ II საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში, ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ ქ. ბერლინში, ჩვენი ფაკულტეტის 7 სტუდენტსა და 2 დოქტორანტთან ერთად. კომპეტენტური გერმანელი პროფესორებისაგან მივიღეთ მნიშვნელოვანი და საჭირო ცოდნა ტურიზმის ინდუსტრიის, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით. გავეცანი ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის - გერმანიის ეკონომიკურ, ურბანულ და კულტურულ ღირშესანიშნაობებს, ამასთან ერთად, შევიძინე ახალი მეგობრები.

2017 წელს, ზაფხულში მონაწილეობა მივიღე ბალტიის საერთაშორისო აკადემიაში, III საერთაშორისო ახალგაზრდულ სამეცნიერო-პრაქტიკულ საზაფხულო სკოლაში, პროექტში - „მენეჯმენტი და მარკეტინგი ტურიზმში - MICE კვალიფიკაცია და გამოცდილების შექმნის დიზაინი“, რიგა, იურმალა(ლატვია), სტოკჰოლმი (შვედეთი).

ბსუ-მ მომცა საუკეთესო შანსი, მონაწილეობა მიმეღო გაცვლით სასწავლო პროგრამაში ევროპის უნივერსიტეტებში. კონკურსის საფუძველზე გავიმარჯვე და ერთი სემესტრით ვიმყოფებოდი ნორვეგიაში, ტელემარკის უნივერსიტეტში. ეს იყო დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, ცოდნის გაღრმავება, ევროპულ განათლებასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან ზიარება, თუმცა, ნორვეგიაში სწავლის პერიოდში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბსუ-ში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ერთგვარი საფუძველი იყო, წარმატებით დამეძლია სასწავლო კურსები ინგლისურ ენაზე (საერთაშორისო მარკეტინგი, ეკოტურიზმი, მეწარმეობის საფუძვლები)...

რა მომცა ბსუ-მ? მომცა შესაძლებლობა უფრო აქტიური, თავდაჯერებული და მოტივირებული ვიყო, თავადაც ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე. თავისუფალ დროს ვკითხულობ, ვუსმენ მუსიკას, ვუკრავ გიტარაზე, ვცურავ, აქტიურად ვმონაწილეობ ინტელექტუალურ თამაშებში, მიყვარს მეგობრების წრეში გართობა და ასევე ძალიან მიყვარს ფეხით სიარული.

სადაც არ უნდა ვიყო, სიამაყით ვამბობ, რომ ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. იმ უნივერსიტეტისა, სადაც უყვართ ბეჯითი სტუდენტები, სადაც ზრუნავენ შენზე, მხარდაჭერას გრძნობ ყოველთვის, ეს კი ძალას გმატებს და მოტივაციას გიმაღლებს, რომ იპოვო საკუთრი ადგილი ცხოვრებაში, დაიხვეწო და გაიზარდო შენს პროფესიაში. ვფიქრობ, ეს ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია.

ზოგადად უნივერსიტეტი გვეხმარება საჭირო ცოდნის მიღებაში, მთავარია სტუდენტებმა თავად გავაცნობიეროთ, რომ წიგნის კითხვა, მუდმივი განვითარება, ცოდნის არამარტო ლექციაზე, არამედ დამოუკიდებლად მიღება, მონდომება და სისტემატური მეცადინეობა, ძალიან მნიშვნელოვანია.

მიხარია, რომ ყოველდღიურად იზრდება ჩვენი უნივერსიტეტი, შენდება ახალი სასწავლო კორპუსი, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, სპორტული მოედნები, იხვეწება სტუდენტების სასწავლო და გასართობი ინფრასტრუქტურა.

ბევრჯერ მიფიქრია - ბსუ მარტო სასწავლებელი არაა. ის თავისი მდებარეობით, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობით, ტრადიციებით, რესურსით — ჩვენი კუთხის ერთგვარი სავიზიტო ბარათია.

დარწმუნებული ვარ, რომ ბსუ კიდევ ბევრ კარგ თაობას აღზრდის. ჩვენ კი ის თაობა ვიქნებით, ვინც შორს უნდა გაიტანოს ჩვენი უნივერსიტეტის, კუთხის და ჩვენი ქვეყნის სახელი!

მეამაყება ბსუ-ს სტუდენტობა. ვთვლი, თავის დროზე სწორი არჩევანი გავაკეთე.

ახლა თქვენი არჩევანის დროა და....

ბსუ თქვენ გელოდებათ"!

ზურაბ შამილიშვილი,
ტურიზმის ფაკულტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

იურიდიული ფაკულტეტი დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დაყოფის შედეგად, 2014 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. ფაკულტეტზე ირიცხება 443 სტუდენტი. მუშაობს 14 აკადემიური პირი და 25-მდე მოწვეული სპეციალისტი. მოწვეულ სპეციალისტებს შორის სალექციო კურსები მიჰყავთ სამ მოქმედ და ერთ რეზერვის მოსამართლეს, რომლებსაც აქვთ მინიმუმ 5 წელზე მეტი მოსამართლედ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

ფაკულტეტი ახორციელებს საბაკალავრო - სამართალმცოდნეობის და სამაგისტრო - სამართლის საგანმანათლებლო პროგრამას. ორივე პროგრამა საკმაოდ მაღალი რეიტინგით გამოირჩევა, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამა ბოლო სამი წელია საქართველოს მასშტაბით მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს- ერთ ადგილზე მოდის ხუთიდან შვიდ აბიტურიენტამდე.

ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგს, ვფიქრობთ, განაპირობებს მინიმუმ სამი გარემოება:

ა) პროფესორ მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია. ფაკულტეტს ამჟამად ჰყავს 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი. ჩვენი ფაკულტეტის პროფესურა საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია და ძალასა და ენერგიას არ იშურებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ასევე, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობით მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ბ) დასაქმების ბაზრის მზარდი მოთხოვნილება პროფესიონალ კადრებზე. წელს ჩვენს ფაკულტეტს ჰქონდა შეხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. ამ შეხვედრების პროცესში მეტ-ნაკლები ცდომილებით ირკვევა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 70-დან 80 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის იდეალური მაჩვენებელი, თუმცა დღევანდელი დასაქმების ბაზარს თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ კარგია;

გ) სწავლის პროცესში ყურადღების გამახვილება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტებმა თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზება მოახდინონ. ამისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კრიმინალისტიკის კაბინეტი, იურიდიული კლინიკა და სასამართლო საიმიტაციო დარბაზი.

კრიმინალისტიკის კაბინეტის ბაზაზე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმართონ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულის კვალის დასადგენად, მის ამოსაღებად, დასამაგრებლად და სხვ. იურიდიულ კლინიკაში სტუდენტებს შეუძლიათ კორდინატორის ხელმძღვანელობით (კორდინატორი დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით არის მოსამართლედ ნამუშევარი გამოცდილი კადრი) კონკრეტულ კლიენტებს გაუწიონ იურიდიული მომსახურება, კონსულტაცია, შეუდგინონ დოკუმენტაცია, განახორციელონ რიგ საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ კლინიკაში მომრავლდა კლიენტთა რაოდენობა და მხოლოდ გასულ წელს 200-ზე მეტი საქმე შემოვიდა განსახილველად. ეს ტრადიცია გრძელდება მიმდინარე პერიოდშიც და ამით ჩვენი ფაკულტეტი ერთი მხრივ ეხმარება ჩვენს მოქალაქეებს, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტები იძენენ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას. სტუდენტებს ძალიან მოსწონთ ასევე სასამართლო საიმიტაციო დარბაზში იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა და ხშირად არის კონკურსი, თუ ვინ უნდა ითამაშოს მოსამართლის როლი. ეს მეტყველებს ორ რამეზე: პირველი-კარგად სწავლის მოტივაციაზე, რომ მოსამართლე ყველაზე მცოდნე ფიგურაა, მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რომელიც გადაწყვეტილებას სახელმწიფოს სახელით აცხადებს და მეორე, პროფესიისადმი ლტოლვაზე, რომ ყველა იურისტის სურვილია მიაღწიოს ღირსეული მოსამართლის სტატუსს. საკმაოდ საინტერესოა სხვა როლების შესრულებაც, სადაც სტუდენტები ავლენენ თავიანთ თეორიულ ცოდნას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს საზაფხულო სკოლა „ევროკავშირის სამართალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“. აღნიშნული საზაფხულო სკოლა ხორციელდება ევროკავშირის ჟან-მონეს სახელობის გრანტის ფარგლებში. წელს აღნიშნული სკოლა წარიმართება 16-24 ივლისს, სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესი 3 მაისს დასრულდა და სკოლაში მონაწილეობის მისაღებად 25 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 97 სტუდენტი მსოფლიოს 26 ქვეყნიდან. საზაფხულო სკოლაში ლექციებს წაიკითხავენ ავსტრიელი, ესტონელი, თურქი და ქართველი პროფესორები. საგულისხმოა, რომ ამ ზაფხულს ჩვენი ფაკულტეტის მონაწილეობით მოვიგეთ ახალი ერაზმუს პლიუსის ჟან-მონეს სახელობის ახალი გრანტი. ამ გრანტის მონაწილეები არიან ასევე ესტონეთის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის უნივერსიტეტები. აღნიშნული გრანტი, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირის კვლევების სწავლება კავკასიის ქვეყნებისათვის“, გრძელდება 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით და იგი მოიცავს ერთობლივი კვლევების განხორციელებას, სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებას, ახალგაზრდა მკვლევართა სემინარების წარმართვას, საზაფხულო სკოლებს და სხვა. წლევანდელ საზაფხულო სკოლაში თანადაფინანსება განხორციელდება აღნიშნული გრანტიდან. ამ გრანტის ფარგლებში უკვე მიმდინარე წლის 18-23 აპრილს სამი მკვლევარი იმყოფებოდა ქალაქ გრაცში „ახალგაზრდა მეცნიერ მკვლევართა სემინარზე.“

იურიდიული ფაკულტეტი ორი წელია არის „ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის“ წევრი. წელს ამ ასოციაციის ეგიდით ქალაქ გრონინგენში გაიმართა კონფერენცია, სადაც დიდი ყურადღება დაეთმო სამართლის სწავლების პრობლემებს დ ასევე, სამეცნიერო კუთხით მრავალ აქტუალურ და სადაო საკითხებს. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის პროცესში დავამყარეთ კონტაქტები, სადაც ჰოლანდიის, ავსტრიის და ამერიკის უნივერსიტეტებმა გამოთქვეს მზადყოფნა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს ელექტრონული მოლაპარაკებები ცალკეულ დეტალებზე და ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შორეული პერსპექტივა, რომ ჩვენმა სტუდენტებმა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიაკითხონ მათი სურვილის შემთხვევაში ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებს.

მთლიანად გარემონტდა ჩვენი სასწავლო აუდიტორიები, სამუშაო ოფისები, კორიდორი, ფაკულტეტი აღიჭურვა ახალი ტექნიკით, მოეწყო კომპიუტერული სტუდენტური კუთხე. ფაკულტეტზე გაკეთდა ამფითეატრის მსგავსი შეფენილი აუდიტორია, რომელიც უახლოეს ხანში იქცევა საკონფერენციო და დისტანციური ლექციების წასაკითხ დარბაზად. დაგეგმილია და მალე დასრულდება ფაკულტეტის შეხვედრების ოთახის შექმნა, სადაც ფაკულტეტის სტუმრებს მივიღებთ საქმიან გარემოში. ერთი სიტყვით, ფაკულტეტზე არის არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე და სამომავლო პერსპექტივები, რომელიც ვფიქრობთ, რომ უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს.

ისწავლე ბსუ-ში!



„2016 წელს მომეცა შესაძლებლობა, რომ გავმხდარიყავი ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. წარმატებული და ნაყოფიერი სასკოლო წლების შემდეგ უდიდესი მოტივაცია იყო,რომ აღნიშნულ სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა. ამ შემართებას კი ერთიორად ამაღლებდა ბათუმის N2 საჯარო სკოლის დასრულება მონიჭებული ოქროს მედლით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ჩემთვის ნიშნავს წარმატებული არჩევანის შედეგს. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლებელს, რათა მიიღო უნივერსალური განათლება. ეს უკანასკნელი კი სწორედ ასეთი ხარისხის განათლებას უნდა სძენდეს სტუდენტებს. დიახ, სწორედ ასეთი სახით საკუთარი თავის წარმოდგენა ქმნის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობას. ჩემი თვითმიზანი, მათ შორის სტუდენტობის პერიოდშიც, იყო და არის ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რომელიც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე არსებული რეალობისადმი დაქვემდებარება, შესაბამისობა.

სტუდენტური წლების საინტერესოდ ჩასათვლელად უნივერსიტეტის პროფესურის მაღალი აკადემიური კვალიფიკაციაც კმარა. გარდა თეორიული ცოდნისა და ანალიტიკური აზროვნებისა, უნივერსიტეტში შექმნილმა აკადემიურმა გარემომ მომცა საშუალება გამევითარებინა, გამეღრმავებინა კომუნიკაციის უნარები ადამიანთან.

საუნივერსიტეტო პერიოდის უდიდეს ნანილს ვატარებ ბიბლიოთეკაში. ეს ის ადგილია, სადაც ყოველთვის შევდივარ იმ განცდით, რომ მივაგნებ ჩემეულ კითხვაზე საინტერესო, მნიშვნელოვან პასუხს. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდანვე ბიბლიოთეკაში იმ წიგნის, სტატიის, მონოგრაფიის კითხვისას, რომლის შინაარსიც შესაძლოა უკვე ცნობილი ყოფილიყო ჩემთვის, მაინც მეუფლებოდა ამბივალენტური განცდა, ერთმანეთის საპირისპირო გრძნობების შემცველი. არგენტინელი მწერლის,ხორხე ლუის ბორხესის მსგავსად, მეც სამყარო ერთ დიდ ბიბლიოთეკად მიმაჩნია.

უწყვეტად, პირველი კურსის განმავლობაში ვიყავი ბსუ-ს სტიპენდიანტი და ასეთივე წარმატებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი გავხდი კურსელების აქტიური მხარდაჭერის შედეგად. ასევე, გახლავართ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი, სადაც დანარჩენ 4 სტუდენტთან და 12 წევრისგან შემდგარ პროფესურასთან ერთად ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხთა განხილვაშივიღებ მონაწილეობას. აგრეთვე, აქტიურად ვმონაწილეობ საუნივერსიტეტო კონფერენციებში და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მივაღწიე.ბსუ გამოირჩევა საზაფხულო სკოლების როგორც წარმატებულად წარმართვით, ასევე ამ უკანასკნელთა მასშტაბურობითაც. მაგალითად, 2017 წლის სექტემბრის თვეში, ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეობას ვღებულობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში, თემაზე - „ევროკავშირის სამართალი და ევროპული ინტეგრაცია“. აღნიშნულ, ტრადიციულ ინგლისურენოვან საზაფხულო სკოლაში 6 ქვეყნის 25 წარმომადგენელი მონაწილეობდა (19 უცხოელი და 6 ქართველი სტუდენტი), მათ შორის აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ესტონეთი, თურქეთი და რუმინეთი. საზაფხულო სკოლაში ადგილობრივ პროფესორებთან ერთად ავსტრიიდან, ლიტვიდან და უკრაინიდან მოწვეული პროფესორები მონაწილეობდნენ.ასევე მივიღე მონაწილეობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის მიერ იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა მიღების შესახებ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც მოვიპოვე წარმატება და გავხდი საია-ს აჭარის ფილიალის წევრი. ამასთან ერთად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის განყოფილებაში 2017 წლის 1 აგვისტოდან 2017 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით ცოდნა შემძინა. აგრეთვე, აჭარაში მოქმედებს პროექტი „სტუდენტური საზაფხულო დასაქმება“, რომლის ფარგლებშიც 2017 წლის ივლისში დასაქმებული ვიყავი ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან, კურსელებთან ერთად პროექტის ფარგლებში ვეხმარებოდით მატერიალურად იმ დედებს, რომლებსაც ჰყავდათ მცირეწლოვანი შვილები და გააჩნდათ მცირე მატერიალური შესაძლებლობა მათ აღსაზრდელად. პროექტის შედეგები იმდენად ნაყოფიერი, წარმატებული აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის განვითარების, გაგრძელების პერსპექტივის ძიებაც დავისახეთ მიზნად. მოკლედ, ეს იმ შესაძლებლობათა არასრული ჩამონათვალია, რასაც იძლევა ბსუ-ს სტუდენტობა.

ჩემთვის, თავისუფალი დრო არის ძირითად პროფესიასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება, დახვეწა. თუმცა, მცირე დროის მანძილზე ყოველთვის ვცდილობ დავკავდე მხატვრობით. მიუხედავათ იმისა, რომ ვარ თვითნასწავლი მხატვარი, ნამუშევრებიმაინც დიდ მოწონებას იწვევს. ასევე, დიდი ინტერესით ვკითხულობ ჩემთვის საინტერესო ლიტერატორების, პოლიტიკოსების თუ საზოგადო მოღვაწეების სტატიებს, პუბლიცისტურ წერილებს, მონოგრაფიებს.

ჩემმა არჩევანმა ერთიორად გაამართლა, რადგან ისეთი უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნა, როგორიცაა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიდ ბედნიერებასთან და თანაზომიერ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული“.

არჩილ ჯინჭარაძე,
სამართალმცოდნეობის
სპეციალობის სტუდენტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს განვითარების უმთავრესი მოთხოვნაა მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანენ ევროპული ტიპის ქვეყნის განვითარების პროცესში.

ჩვენს ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები სწორედ რომ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ამჟამად, ფაკულტეტი აერთიანებს შემდეგ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებს - საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია და ევროპისმცოდნეობა, ხოლო- კლინიკური ფსიქოლოგია მაგისტრატურის მიმართულებით. ფაკულტეტზე ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ბიბლიოთეკარი“, „ფოტოგრაფი“, „ბეჭდური და ონლაინ გამომცემლობის რეპორტიორი“ და „კორესპონდენტი“. საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპისმცოდნეობის და ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალისტების მომზადების აქტუალურობა განპირობებულია შრომით ბაზარზე კვალიფიციური კადრების მოთხოვნით. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბოლო 5 წლის გადასახედიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების



მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად საამაყოდ გვაქვს საქმე, წლიდან წლამდე ვვითარდებით. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ მობილობის პერიოდში სტუდენტებს მაღალი კონკურენციის პირობებში უწევთ ჩვენი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უნივერსიტეტის დაახლოება სკოლასთან. ამ მხრივ ჩვენს ფაკულტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის ცხოვრებაში. კერძოდ, ფაკულტეტთან არსებულ ფსიქოლოგიის კლინიკაში მომუშავე ქცევის თერაპევტები და სტუდენტები, ფსიქოლოგიურად ეხმარებიან გსსმ და შშმ მოსწავლეებს. ასევე, მთელი წლის განმავლობაში ბათუმის სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სკოლებში პროფესორ მასწავლებლები, სტაჟიორები და სტუდენტ- პრაქტიკანტები ატარებენ საინფორმაციო, შემეცნებითი ხასიათის შეხვედრებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიის კლინიკა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის აკადემიური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკული ცოდნის მიწოდებას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია ფაკულტეტის სტუდენტებს გამოუმუშაოს პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები.

ფაკულტეტზე ასევე ფუნქციონირებს TEMPUS INOTLES (Innovating of Teaching and Learning of Europea Studies) 543955-TEMPUS-1-2013-1-NL-TEMPUS-JPCR პროექტის ფარგლებში ევროპული კვლევების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურულ ნაწილს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე სოციალურ მეცნიერებებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელებას ევროპული კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონული კვლევების, სოციალურ-ეკონომიკური კვლევების აქტუალური პრობლემების მიმართულებებით, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებასა და მეთოდურ საქმიანობას.

ფაკულტეტზე არსებობს ტექნიკურად აღჭურვილი ფოტო-ვიდეო სტუდია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმული შემოქმედებით საქმიანობაში. ინტენსიურად იმართება სტუდენტური ფოტო გამოფენები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტის პროფესიულ, საინფორმაციო-ანალიტიკურ, ორგანიზაციულ-კომუნიკაციურ და საერთო კულტურული მიმართულებით კომპეტენციების განვითარებას, რაც განაპირობებს მის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

აირჩიე ბსუ!

„ვსწავლობ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპისმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსზე...

2016 წელს, მას შემდეგ რაც ოქროს მედალზე დავასრულე ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის 2 საჯარო სკოლა, ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წლების განმავლობაში შორიდან ვაკვირდებოდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს.ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში ვიყავი დაინტერესებული ამ უმაღლესი სასწავლებლით, კერძოდ — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტით. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა,რომ ჩემი ინტერესი გამართლდა. ვამაყობ, რომ ბსუ-ს სტუდენტი ვარ.

იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ეს იმას ნიშნავს,მიდიოდე უმაღლესი განათლების მოპოვების წარმატებულ გზაზე,იყო დიდი ოჯახის წევრი,-სადაც არის მეგობრული გარემო, პროფესიონალ ლექტორ-მასწავლებელთა კოლექტივი, რომლებიც თავიანთი საქმის შესანიშნავი სპეციალისტები არიან.

თამამად შემიძლია ვთქვა,რომ ბსუ-სშესაძლებლობებიამოუწურავია, მე კი ვცდილობ ეს სწორადგამოვიყენო.ამ ორი წლის განმავლობაში ბსუ-მ მომცა მაღალხარისხიანი განათლების დონე, ჩამომიყალიბა ლოგიკური აზროვნების და საჯარო სიტყვით გამოსვლის უნარი, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში

გამოყენების შესაძლებლობა. აქ მეგობრული გარემოა და ძალიან ბევრი კარგი ადამიანი შევიძინე.

უნივერსიტეტი ეს არის ჩემი მეორე დიდი ოჯახი, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო საზოგადოებრივ და პოლიტიკური მეცნიერებათა დეპარტამენტი,სადაც არიან მეგობრულად განწყობილი ის ადამიანები(ლექტორები), რომლებსაც ჩემი ოცნების ასრულებაში დიდი წვრილი შეაქვთ...

ჩემი პირველი წარმატება იყო მაშინ,როცა კურსის ჯგუფხელი გავხდი, რამაც დიდი სტიმული მომცა. სწავლის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, უნივერსიტეტში გამოცხადდა კონკურსი დებატების ტურნირისათვის სტუდენტების შესარჩევად,აპლიკაციის შევსების შემდეგ მე მერგო ბედნიერება გავმხდარიყავი ამ პროექტის მონაწილე.რამდენიმე ტრენინგის შემდეგ უნივერსიტეტის სახელით ჩემს მეგობრებთან ერთად ვიასპარეზე დებატების ტურნირზე თელავში. მაღალი აკადემიური მოსწრების შედეგად, მოვიპოვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სტუდენტთა დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში სრული დაფინანსება...გამიჩნდა სურვილი გავხმდარიყავი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრი, რის გამოც მონაწილეობა მივიღე არჩევნებში და გავიმარჯვე. ბსუ-ს თვითმმართველობის წევრიც გახლავართ. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ მოვიპოვე ბსუ-ს სემესტრული სტიპენდია. მეორე კურსის დასაწყისში უნივერსიტეტში გამოცხადდა კონკურსი ავთანდილ ბარათაშვილის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად, მაშინვე გამიჩნდა სურვილი მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ იმედი არ მქონდა გამარჯვებისა. თუმცა, ამჯერადაც იღბალმა გამიღიმა... მონაწილეობა მივიღე პრეზიდენტის ფონდის მიერ დაფინანსებულ დებატების პროექტში,სადაც მომანიჭეს აქტიური მოდებატის სტატუსი.. არასდროს არ მსურს, გავჩერდე ერთ ადგილას... ჩემი მიზანია,გავხდე წარმატებული დიპლომატი.

ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ წარმატებას ადგილი არ განსაზღვრავს. წარმატება შრომისმოყვარეობის შედეგია. მინდა თითოეულ აბიტურიენტს ვუთხრა, რომ თუ კი არჩევანს ბსუ-ზე შეაჩერებენ, ეს იქნება მათი წარმატების პირველი ეტაპი. აქ თქვენ დაეუფლებით იმ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რაც თქვენივე წარმატების საფუძველი გახდება“.

ამირან აბაშიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ ვირჩევთ ბსუ-ს

„ვარ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, აბიტურიენტი. სკოლას ოქროს მედალზე ვამთავრებ. მოსწავლეობის პერიოდში მიღწეული წარმატებებიდან ყველაზე კარგად მახსენდება „წიგნების თაროში'' მონაწილეობის მიღება, რამაც კონკურსანტისა და კონკურენტის გადასახედიდან, დიდი გამოცდილება მომცა. ასევე გახლდით ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრი და დავდიოდი „მომავლის თაობაში". ვიყავი არაერთ საგანმანათლებლო ბანაკში, მათ შორის ანაკლიის „მომავლის ბანაკს" გამოვარჩევ.

ჩემი სასკოლო ცხოვრება ყოველთვის აქტიურობით გამოირჩეოდა, ვიყავი სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე, გაზეთის რედაქტორი, კლასის ლიდერი და ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებას.

წელს სკოლას ვამთავრებ და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების წინაში ვდგავარ — სწავლა რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელსა და რომელ სპეციალობაზე გავაგრძელო? ვფიქრობ, კითხვა, რომელსაც საკუთრ თავს ვუსვამ, ფორმალურია, რადგან არჩევანი მეტწილად უკვე მივიღე... ჩემი აზრით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი, მდებარეობს ჩემს ქალაქში, რამდენადაც ვიცი, მოწესრიგებულია ადმინისტრაციული სისტემა და რაც მთავარია, სასწავლო პროცესს ემსახურება გამოცდილ პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი. მინდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი გავხდე. ფაქტობრივად, ამ სპეციალობაზე სწავლის გაგრძელებით, ერთგვარად ოჯახურ ტრადიციასაც ვაგრძელებ. ისიც ვიცი, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები ამ უნივერსიტეტში დაარსებიდანვე ფუნქციონირებს. ბევრს ნიშნავს ისიც, როცა შენს საყვარელ ადამიანებს აქ მიუღიათ განათლება. როცა ისინი გასწავლიან, გზრდიან და გარიგებენ, ბუნებრივია, გინდა შენც იმავე კერას ეზიარო... ამ უნივერსიტეტს ბევრი წარმატებული ადამიანი აღუზრდია, რომლებიც საზოგადოებრივ ასპარეზზე იღვწიან. ეს ყველაფერი კი, სასწავლებლის არჩევის დროს ერთგვარ ფსიქოლოგიურ დანიშნულებასაც ასრულებს, ხოლო რაც შეეხება პროფესიას, 18 წლის ახალგაზრდა უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყო, თუ რისი კეთება გსურს სამომავლოდ.

პირველ რიგში მინდა ვიყო ადამიანი, რომლითაც იამაყებს ჩემი ოჯახი, ახლობლები და ის ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ჩემი, არ გავუცრუო იმედები და მივაღწიო დიდ წარმატებას, დავტოვო ჩემი კვალი და სახელი ამ საზოგადოებაში...

უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ აუცილებლად გავაგრძელებ სწავლას მაგისტრატურაში, დავიწყებ პროფესიით სამსახურს და ვიქნები წარმატებული... მინდა, დიდი ენთუზიაზმითა და მიზანდასახულობით, აქტიურ ცხოვრებას ვეწეოდე. ყველაზე მეტად რაც მხიბლავს და მინდა, ესაა ბავშვებთან მუშაობა... წლების შემდეგ მეც მინდა ჩემი აღზრდილები მყავდეს. მჯერა, რომ რწმენისა და დაუღალავი შრომის შედეგად, ყველაფერს მივაღწევ".

დარინა დოლიძე,
წინსვლის საჯარო სკოლა

„მე ვარ თორნიკე ქამადაძე. ვცხოვრობ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში. ვსწავლობ ლევან ბერიძის სახელობის საჯარო სკოლაში, მე-12კლასში. გახლავართ ოქროსმედალოსანი. მოსწავლეობის პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა სპორტულ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრში, შემოქმედებით კონფერენციაში, ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის", სადაც გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე. ასევე ვმონაწილეობდი ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში, როგორც საბუნებისმეტყველო საგნების საუკეთესო მოსწავლე. ერთი კვირის განმავლობაში გვიტარდებოდა ტრენინგები, სადაც მივიღე გარკვეული გამოცდილება. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ სპორტულ შეჯიბრებებში: კალათბურთში, ჭადრაკსა და მძლეოსნობაში. კალათბურთში ჩვენი გუნდი არაერთხელ გამხდარა რაიონის ჩემპიონი. გასულ წელს ჭადრაკში გავხვდი მუნიციპალიტეტის ჩემპიონი. აგრეთვე მონაწილეობას ვიღებდი სამოქალაქო განათლების პროექტში „მომავლის თაობა'', სადაც ჩვენმა ჯგუფმა, ჩემი ლიდერობით გაიმარჯვა და სკოლაში შემოვიტანეთ ვიდეოკამერა.

დღეს, როგორც მე-12 კლასის მოსწავლე, კმაყოფილი ვარ ყოველი წუთით, რომელიც სკოლაში გავატარე. მინდა ჩემი აქტიურობა სპორტთან და სწავლასთან დაკავშირებით გავაგრძელო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე. მაქვს უამრავი გაზეთი წაკითხული, რომელიც ამ უნივერსიტეტმა გამოსცა. ასევე ჩემი დაძმა სწავლობს ბსუ-ში. მათი რეკომენდაციითა და არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მინდა ვიყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტისგან ველოდები აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას, ხოლო მისი დასრულების შემდეგ კი, მინდა ვიყო კონკურენტუნარიანი სპეციალისტი. სამომავლოდ, მსურს ჩემს რეგიონში, აჭარაში დავსაქმდე".

თორნიკე ქამადაძე,
ფურტიოს საჯარო სკოლა

„ზედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის XII კლასში ვსწავლობ. აქტიურად ვმონაწილეობ სასკოლო ცხოვრებაში. განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ ჰუმანიტარული საგნებით. მეშვიდე კლასიდან ყოველწლიურად ვმონაწილეობ თითქმის ყველა გამოცხადებულ ოლიმპიადაში, კონკურსსა თუ ინტელექტუალურ შეჯიბრში, ხშირად ვაწყობ სასკოლო ღონისძიებებს, აქტიურად ვთანამშრომლობ გაზეთ „ხულოსთან". მონაწილეობა მაქვს მიღებული სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, სადაც მიღებული მაქვს I ხარისხის სიგელი და დიპლომი. ასევე ნორჩ ეკოლოგთა და გარემოს დამცველთა შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის არაერთი პრიზი გადმომცეს. ასევე ჩართული ვარ სკოლის თვითმმართველი ორგანოს მუშაობაში. არაერთხელ ვიყავი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ან აქტიური წევრი. სკოლაში სწავლის პერიოდში ჩემი ინიციატივით განხორციელდა უამრავი სასარგებლო პროექტი, არჩეული ვიყავი კლასის ლიდერად. კარგი ურთიერთობა მაქვს როგორც სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ასევე სოფლის მოსახლეობასთან.

სწავლის გაგრძელება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავწყვიტე. მჯერა, რომ ვირჩევ თავისუფლებას, ობიექტურობას, სამართლიანობას და, რაც ყველაზე მთავარია, ხარისხიან განათლებას, რაც ვთვლი, რომ საწინდარი იქნება ჩემი წარმატებული მომავლის.

ჩემი სურვილია, უმაღლეს სასწავლებელში ისტორიის სპეციალობაზე გავაგრძელო სწავლა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგობა დღეს ისე აღარ არის დაფასებული როგორც წლების წინათ იყო, მაინც ვთვლი, რომ ის უკეთილშობილესი პროფესიაა ცისქვეშეთში. ჩემი დიდი სურვილია დავუბრუნდე მშობლიურ სოფელს და იქაურ პატარებს ვასწავლო ჩემი ქვეყნის დიადი ისტორია".

ქეთინო აბულაძე,
ზედა ვაშლოვანის საჯარო სკოლა

„მე ვარ მარიკა ბროლაძე, 17 წლის. ვცხოვრობ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისში. გახლავართ ფრიდონ თურმანიძის სახელობის მერისის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე.

ბავშვობიდანვე ვცდილობდი მონაწილეობა მიმეღო რაც შეილება მეტ აქტივობაში. მონაწილე ვარ შემოქმედებითი კონფერენციისა „ისტორიის სკივრი" და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციისა „საქართველოს ისტორიის ფურცლები", სადაც ავიღე პირველი ხარისხის დიპლომი. ასევე მონაწილეობას ვიღებდი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ პროექტში, სადაც ჩვენი გუნდის მიერ წარდგენილი პროექტი გახდა ერთ-ერთი გამარჯვებული. განსაკუთრებით წარმატებული და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ჩემთვის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაციის დემოკრატიის ლაბორატორიის მიერ ორგანიზებული პროექტი „შენი ხმა, ჩვენი მომავალია". პროექტმა თითოეული რეგიონიდან გამოავლინა ორი ფინალისტი სკოლა, მათ შორის კი ვიყავით ჩვენც. ფინალი გაიმართა ქალაქ ბათუმში, სადაც მოგვეცა შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტს გავსაუბრებოდით. 2017 წლიდან დღემდე მონაწილეობას ვღებულობ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსა" და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" მიერ ორგანიზებულ პროექტში „ტოლერანტობის მისიონერთა სკოლა", რომელიც შედგებოდა სამი გასვლითი ტურისგან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც გვიტარდებოდა ტრენინგები. ამავე პროექტის ფარგლებში გვაქვს ინტერნეტ ბლოგი, სადაც ყველა მონაწილე აქვეყნებს საკუთარ სტატიას. აქ დამასახელეს საუკეთესო ბლოგერად და საუკეთესო სტატიების ავტორად.

ბავშვობიდან ვთამაშობდი ჭადრაკს. შეჯიბრებებში რამდენიმეჯერ გავხდი საპრიზო ადგილის მფლობელი.

სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი მაქვს სწავლა გავაგრძელო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც ჩემთვის ცნობილია ,უნივერსიტეტს ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მინდა ჩავაბარო ბიოლოგიის სპეციალობაზე და ვიყო იხტიოლოგი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იმედი მაქვს, შევძლებ დასახული მიზნების განხორციელებას".

მარიკა ბროლაძე,
მერისის საჯარო სკოლა

„ვცხოვრობ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში. ვსწავლობ ამავე სოფლის საჯარო სკოლაში, ვარ მე-12 კლასის მოსწავლე.

აქტიურად ვმონაწილეობდი განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ სასკოლო ოლიმპიადებში. ვიყავი პროექტ „მე და კონსტიტუციის" მონაწილე და ნახევარფინალისტი. ჩართული ვიყავი პროექტში „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2017". მონაწილეობას ვღებულობ სკოლაში ჩატარებულ სასკოლო ღონისძიებებში და აქტივობებში, მათ შორისაა „ეტალონი", „რა? სად? როდის?"... სკოლის დირექციისგან ორჯერ მივიღე ფულადი ჯილდო, როგორც აქტიურმა მოსწავლემ.

საკმაოდ საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობდი მე-12 კლასამდე, მაგრამ ახლა ვარ აბიტურიენტი და ძირითადად ვემზადები გამოცდებისათვის. ამიტომ ნაკლებად ვიცლი სასკოლო ღონისძიებებისთვის.

— რატომ ვირჩევ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს? იმიტომ, რომ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი არის სახელმწიფო სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებელი და ასწავლის ბევრი გამოცდილი ლექტორი. აქ სწავლობს ჩემი ძმა, აქ ისწავლა ჩემმა ძალიან ბევრმა ახლობელმა და დღეს ისინი წარმატებულები არიან. უნივერსიტეტი ჩემს საცხოვრებელ რეგიონშია, რაც საშუალებას მომცემს სწავლის პერიოდში ახლოს ვიყო ჩემს საყვარელ ოჯახთან.

ჩემი დიდი სურვილია გავხდე ჟურნალისტი, მაგრამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამწუხაროდ ჟურნალისტიკის პროგრამა არ ფუნქციონირებს. ვფიქრობ, ჟურნალისტიკასთან შედარებით ახლოსაა ფილოლოგიის სპეციალობა. გადავწყვიტე ქართული ფილოლოგიის მიმართულებით გავაგრძელო სწავლა.

მინდა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოვიყენო და შევძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

მინდა ვიყო წარმატებული პიროვნება".

ნინო მესხიძე,
აჭყვისთავის საჯარო სკოლა

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
რეზო დიასამიძე, თამარ სირაძე, მარინა გიორგაძე, მარინა ქორიძე, მურმან გორგოშაძე, ლადო ბალაძე, ნოდარ ბარამიძე, ლალი ზაქარაძე, რეზო ჯაბნიძე, ვლადიმერ ღლონტი, მალხაზ ჩოხარაძე, ნანა მაკარაძე, გუგული დუმბაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ნუგზარ მგელაძე, რეზო მანველიძე, შორენა მახაჭაძე

მარიკა გამახარია, ლიკა ბოლქვაძე, მანანა დევაძე

გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში